აჭარის
ტელევიზია
და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი;
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ;
3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ;
4. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ;
5. დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;
6. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
7. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
8. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;
9. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;
10. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;
11. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
12. შიდა და გარე აუდიტების დასკვნები.

# 1. შესავალი

საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის საქმიანობაში ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს სიზუსტის, ობიექტურობის, ბალანსის, ანგარიშვალდებულებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპებით.

მნიშვნელოვანია, რომ მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით, ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ'' საქართველოს კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მთავარი კანონისმიერი ვალდებულებებია[1]:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქციის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

2018 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა

სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

## 2. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს სამაუწყებლო პოლიტიკა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი საქმიანობს მედიასფეროში, საქართველოს მთელ ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ. საქმიანობის ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

მაუწყებლის მიერ შერჩეულ აუდიტორიაზე პრიორიტეტები შემდეგნაირად ნაწილდება:

- პირველ რიგში, მაუწყებელი იმუშავებს აჭარის რეგიონის მოსახლეობისათვის;
- მეორე პრიორიტეტად დასახელდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა;
- მესამე პრიორიტეტად კი - მთელი საქართველოს მოსახლეობა;
- მეოთხე პრიორიტეტია - ემიგრანტები და უცხოეთში მცხოვრები ქართულენოვანი მოსახლეობა.

**მისია:** საზოგადოებისთვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელება ახალი ამბებითა და ტოკ-შოუების საშუალებით. ხოლო შემეცნებითი და სოციალური პროდუქტის აჭარიდან მიწოდებით ხელი შეუწყოს საზოგადოების უწყვეტ განვითარებას;

**ღირებულებები:** თავისუფლება, პიროვნება, სამშობლო, ობიექტურობა, კეთილსინდისიერება;

**საჯარო მისწრაფება:** ზნეობრივი და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, არსებული მრავალფეროვნების წარმოჩენა, თანაბარი სამოქალაქო პასუხიმგებლობის გაჩენა. ზრუნვა მოქალაქეთა კეთილდღეობის ასამაღლებლად, მათი სამომხმარებლო პრობლემებისა და შესაძლებლობების მუდმივი გაშუქებით.

**ხედვის განაცხადი:** ხარისხიანი მაუწყებელი, მრავალფეროვანი, და ფართო აუდიტორიით; გუნდური მუშაობის განმტკიცება; პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისი, აუდიტორიისათვის სასარგებლო და საინტერესო თემების გამოვლენა და სწორად შერჩევა.

საეთერო ბადეში დროის თითოეული მონაკვეთისათვის ძირითადი აუდიტორიის სწორად განსაზღვრა და თითეული სეგმენტისათვის შესაბამისი კონტენტის მიწოდება. განსაზღვრული სეგმენტების საჭიროებებისა და ინტერესების პერმანენტული კვლევა და ანალიზი. საქართველოს ისტორიის, თანამედროვეობისა და მომავლის გააზრება.

საჭირო წყაროებისა და არხების განვითარებით ისეთი თემებისა და საკითხების გამოვლენა, რომლებიც შესაბამისობაში იქნება პროგრამულ პრიორიტეტებთან და აუდიტორიის ფართო ინტერესებთან მაუწყებელმა შეძლოს დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტების მაქსიმალური შესრულება;

განისაზღროს მაუწყებლისა და მისი პროდუქტების გავრცელების ახალი არხები, სხვადასხვა ინტერნეტარხები, მედიაორგანიზაციები და პარტნიორი დაწესებულებები. საჭიროებისამებრ, მოხდეს გავრცელების ახალი არხების და პლატფორმების დამატება;

ზრუნავს იმაზე, რომ აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წარმოებული პროდუქტის ციტირება მოხდეს ადგილობრივ თუ საერთაშორისო მედიაში.

მაუწყებლის საეთერო დრო 18 საათიან მაუწყებლობიდან 24 საათამდე.

მაუწყებლის ძლიერი მხარე

1. სტატუსი (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევია და რადიო)
2. სტაბილური დაფინასება;
3. კანონმდებლობა;
4. გამოცდილი კადრები, ადამიანური რესურსი;
5. ტექნკური აღჭურვილობა;
6. პლატფორმა;
7. აუდიტორია;
8. დაფარვის მასშტაბი;
9. რეგიონული ოფისები;
10. პრიორიტეტების მრავალფეროვნება;

მაუწყებლის ძირითადი გამოწვევები:

1. მაუწყებლის შენობა;
2. თანამშრომელთა საჭიროების გათვალისწინებით, სათანადო სამუშაო პირობების შექმნა;
3. სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;
4. სხვადასხვა სამსახურების ვალდებულებების და ფუნქციების თანხვედრა ტელევიზიის, რადიოს და ონალინ მედიის პროგრამულ პრიორიტეტებთან;
5. ვალდებულებებისა და უფლება-მოვალეობების მკაფიო განსაზღვრა;
6. ეფექტური და დემოკრატიული ფორმით მართვის პოლიტიკის შექმნა; უფლებების დელეგირება და განაწილება;
7. სამართლიანი სახელფასო სისტემა, სადაც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი შრომის ინტენსია, კვალიფიკაცია, გარემო, სუბორდინაცია და სხვა.
8. თანამშრომლების კვალიფიკაცია;
9. გუნდური და სოლიდური გარემოს შექმნა;
10. კოლექტიური მიზნის ჩამოყალიბება;
11. ტექნოლოგიების დანერგვა;

როგორც, ანალიზისა და დიაგნოსტიკის ფაზაზე გამოიკვეთა, მიმდინარე მაუწყებლობაში დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტები სრულად ვერ იფარება, აუდიტორიის

ინტერესების და საჭიროებების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობა, არხს აკლია დინამიურობა და შედეგად, როგორც საინფორმაციო/ ანალიტიკური, ასევე საავტორო/შემოქმედებითი გადაცემების თემატიკის შესაბამისობას პროგრამულ პრიორიტეტებთან და კონკრეტული აუდიტორიის ინტერესებთან უფრო სპონტანური ხასიათი აქვს.

ფინანსური რესურსების მოძიება და მისი ეფექტიანი გამოყენება ასევე არის აჭარის მაუწყებლის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და გეგმა;

## შენობა

2018 წელსაც ერთერთი მთავარი სირთულე ტექნიკურ პრობლემებთან გამკლავება იყო. მოძველებული ტექნიკა და მაუწყებლობა შენობის გარეშე, ინფრასტრუქტურული მოუწყობლობა მაუწყებლის საქმიანობის თანმდევი ურთულესი და მწვავე პრობლემაა. სამწუხაროდ, მაუწყებლის შენობა აჭარის მთავრობის კუთვნილებად რჩება, რაც თავისთავად ცხადია ქმნის გარკვეულ ყოფით, სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ სირთულეებს.

დღეისათვის არსებული დროებითი შენობები, რა თქმა აუნდა არ შეესაბამება მაუწყებლის საჭიროებებს. მაგალითად, მთავარი ოფისი მე-19 საუკუნის შენობაა, რომელიც ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მესამე სართული კი იყო ხის მოძველებული ინფრასტრუქტურით, სიცოცხლისა და ჯანმრთლეობისათვის საზიანო კიბის უჯრედით. ამ და სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე მაუწყებელმა მიმართა ძეგლთა დაცვის სააგენტოს სახურავის შეკეთების თხოვნით, სააგენტომ გამოავლინა გამარჯვებული კომპანია და დაიწყო სარემონტო სამუშაოები მაუწყებელში. განახლდა სრულად მესამე სართული, შეიცვალა ჯანმრთელობისთვის სახიფათო შრომითი პირობები. მოწესრიგდა დერეფნები, შეიცვალა იატაკი და გადაიღება კედლები, გარემონტდა აივნები და შიდა საწყობის ხარჯზე გაკეთდა საკონფერენციო ოთახი, რაც შეეხება რადიოს, იქ მართალია სარემონტო სამუშაოები გასულ წელს დასრულდა და ადაპტირებული გარემოც შეიქმნა, მაინც უნდა ითქვას, რომ რადიო განთავსებულია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე და ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა მეზობლებისაგან ჩამოდის წყალი და არა მხოლოდ ინფრასტრუქუტურა ზიანდება, არამედ ძალიან ბევრჯერ შეექმნა საფრთხე აპარატურასაც.

საერთო ფონი, კვლავაც რთულია. სამსახურების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია სამუშაო ოთახი. შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად რთულ სამუშაო პირობებში არიან ტექნიკური ჯგუფებიც. მორალურადაა მოძველებული შიდა ინფრასტრუქტურა, რაც ანელებს სამუშაო პროცესს და ამცირებს სიახლის დანერგვის შესაძლებლობას.

# ტექნიკური გადაიარაღებისთვის გაწეული მუშაობა

მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ტექნიკური გადაიარაღების მიზნით ჩატარებული სამუშაოები:

1) შეძენილ იქნა 16 არხიანი ხმის პულტი, რომელიც დამონტაჟდა სტუდია N3-ში (ე.წ თითების სტუდია);
2) სატელევიზიო ხმის გასაუმჯობესებლად შეძენილ იქნა სატელევიზიო ხმის პროცესორი, რომელიც დამონტაჟდა ცენტრალურ სააპარატოში;
3) რადიოს ხმის გასაუმჯობესებლად შეძენილ იქნა რადიო FM პროცესორი რომელიც დამონტაჟდა რადიოს გამშვებ სტუდიაში;
4) MPG4 ზე გადასვლასთან დაკავშირებით შეძენილი იქნა 10 ცალი სატელიტური მიმღები;
5) ახალი ამბების სამსახურის ეფექტური მუშაობისათვის შეძენილ იქნა პირდაპირი ჩართვებისთვის სატელეფონო ხაზის გამოყენების აპარატურა (ლაივუ) და სტუდიაში მოხდა ტექნიკური გადაიარაღება;
6) სტუდიური გადაცემებისა და მიღებული მასალების ერთდროულად და შეუფერხებლად ჩასაწერად შეძენილ იქნა ჩამწერი ციფრული მაგნიტოფონი;
7) სტუდიისათვის შეძენილ იქნა სატელევიზიო ამწე;
8) შეძენილ იქნა საკამერო განათება, აუდიო აპარატურა, სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონები, ხელის რადიო მიკროფონები, უკაბელო საკამერო მიკროფონის კომპლექტი, რეპროდუქტორი, აუდიო სიგნალის მიმღები, ყურსასმენები, სტუდიისთვის და გარე გადაღებების განათების კომპლექტები, აუდიო და ვიდეო სიგნალის გარდამქნელები, ახალი თანამედროვე ტიტრის მუშა სადგური, WIFI გამავრცელებელი მოწყობილობები, სტუდიის კამერებისათვის შტატივები და პირდაპირი ჩართვების ეფექტური და ოპერატიული უზრუნველყოფისათვის GSM სატელეფონო აპარატურა;
9) მაუწყებლის ვებ-გვერდისა და რადიოსათვის პირდაპირი ჩართვების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა ციფრული კამერები და შტატივი მობილური ტელეფონით ვიდეო სიუჟეტების მოსამზადებლად;

10) ტელევიზიის კომპიუტერულ ქსელში პირდაპირი ეთერის სტრიმის უზრუნველსაყოფელად და მიმდინარე ეთერის მაღალი ხარისხით ჩასაწერად, შეძენილ იქნა SDI და HDMI ნაკადის გამშვები მოწყობილობა;
11) მაუწყებლის ტექნიკური ნაწილის გასამართად შეძენილ იქნა თანამედროვე ტიპის HD ენკოდერი;
12) შეძენილი იქნა და ტელევიზიაში დამონტაჟდა სამეთვალყურეო სისტემების ახალი კომპლექტი, ძველი კომპლექტი კი გაიმართა ტექნიკურად და დამონტაჟდა რადიოს შენობაში;
13) განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის (მ.აბაშიძის №41) სახურავის კაპიტალური რემონტისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება;
14) განხორციელდა რადიოს შენობის აზომვითი ნახაზისა და რადიო შენობის (მ.აბაშიძის №57) კონდიცირების სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება;
15) შეძენილ იქნა დასწრების აღრიცხვის სისტემა და შესაბამისი პლასტიკური ბარათები, რომლებიც დამონტაჟდა როგორც ტელევიზიის, ასევე რადიოს ადმინისტრაციულ შენობებში;
16) განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა. ასევე, განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა, მონიტორინგი.
17) შეძენილ იქნა როგორც მუშა სადგურები (სამონტაჟო კომპიუტერი), ასევე სამონტაჟო ლეპტოპები, რითაც გაუმჯობესდა სამონტაჟოების ხარისხი;
18) MPG4 სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაფორმდა ახალი ხელშეკრულება თანამგზავრულ მაუწყებლობაზე და თანამგზავრით პირდაპირ ჩართვებზე, შეიცვალა ტექნიკური პარამეტრები და შეიცვალა გადახდის ტარიფი;
19) შეძენილ იქნა და განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და ომბალაურის გადამცემი სადგურებისათვის ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები;

20) განხორციელდა გადაცემა „დილის ტალღა“-ს და გადაცემა „ჰეშთეგი“-ს სატელევიზიო სტუდიების განახლება (დეკორაციული სამუშაოები), ასევე განხორციელდა ე.წ. „თითების სტუდიის“ ინტერიერის შეცვლა და შესაბამისი განათების მოწყობა;
21) განხორციელდა მოძრავ სატელევიზიო სადგურზე და სტუდიებში პროფილაქტიკური სამუშაოები. დაზიანებული იყო ტელევიზიიდან რადიოში მიმავალი მაგვის კაბელი, მოხდა დაზიანებული ადგილის მოძებნა ლაბორატორიის მიერ და აღდგენა. სტუდიის ცენტრალურ სააპარატოში ჩატარდა რეკონსტრუქცია (ტექნიკური გადაიარაღება) რის შედეგაც ახალ ოთახში, შეძენილ რეკში გადატანილ იქნა ხმაურის გამომწვევი აპარატურა. ასევე შევიძინეთ აუდიო და ვიდეო კაბელები თავისი კონექტორებით, რომელებიც გამოყენებული იქნა ცენტრალურ სააპარატოში კაბელებისა და კომუნიკაციის მოსაწესრიგებლად;
22) ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება გადამცემზე სარეზერვო რადიო სიგნალის მიწოდება, იმ შემთხვევისათვის, როცა სატელიტზე წარმოიქმნება სიგნალის გავრცელების პრობლემა. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ანტენა - ფიდერულ მოწყობილობაზე, პროფილაქტიკა ჩაუტარდა დენის უწყვეტ წყაროს UPS. ჩატარდა სარემონტო აღდგენითი სამუშაოები, გარემონტდა ძალოვანი ტრანსფორმატორის დამცველები და გადაძაბვის შემზღუდველი;
23) დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი სადგურები (გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში;
24) აჭარის მუნიციპალიტეტებში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). აღდგენილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები, რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურებს, გარემონტდა მიმღები და გადამცემი ანტენები;
25) საანგარიშო პერიოდში ოპერატულად და უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით შეძენილ იქნა მსუბუქი გამავლობის 2 ავტომობილი.

# 3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს'' 2018-2019 წლების

პროგრამული პრიორიტეტები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, როგორც კანონით შექმნილი სამაუწყებლო ინსტიტუციის მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს სამოქალაქო აქტივობის, სოციალური სოლიდარობისა და სხვა სამოქალაქო ღირებულებების, კულტურისა და განათლების ხელშემწყობი, პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, მრავალფეროვანი პროგრამები. მაუწყებლის ორიენტირია საქართველოს ყველა მოქალაქე. გავრცელების არეალი - ქვეყნის მთელი ტერიტორია.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო ტრადიცია, ოფისი ბათუმში და მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების წესი განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ ინტერესს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული პროცესებისადმი.

თავად მაუწყებელი მოქმედებს საჯარო დაფინანსებით, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს. პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებით, სოციოლოგიური კვლევებით, მოქალაქეებთან საჯარო შეხვედრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და საკუთარი გამოცდილებით.

პროგრამული პრიორიტეტების ახალი რედაქციის განსაზღვრისას, მრჩეველთა საბჭო ითვალისწინებს გასული სატელევიზიო/რადიო სეზონის მიღწევებსა და ნაკლს პრიორიტეტების შესრულების თვალსაზრისით. ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოკვეთილ განსაკუთრებულ გამოწვევებს და რამდენიმე მიმართულებით ტელევიზიასა და რადიოს უდგენს ამოცანებს, რომელთა გასაშუქებლად და საზოგადოებისათვის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის უნდა გამოიყოს მეტი საეთერო დრო, შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, მმართველის თუ ოპოზიციური ჯგუფის, კომერციული ან სხვა კერძო ინტერესის მქონე ორგანიზაციისა და რელიგიური გაერთიანებისაგან. არ უნდა ეწეოდეს კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური შეხედულებების პროპაგანდას.

ამ ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო 2018-2019 წლების პროგრამულ პრიორიტეტებს ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიისათვის განსაზღვრავს შემდეგნაირად:

## სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო’’-ს 2018 – 2019 წლების პროგრამული პრიორიტეტები

## ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

### 1. საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

1.1. ახალი ამბები

მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. შესაბამისად, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დღის მთავარ და მნიშვნელოვან თემებს, რომლებშიც მაუწყებლის მაყურებლის/მსმენელის მოლოდინის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აჭარაში მიმდინარე ფაქტებსა და მოვლენებს. ზოგადეროვნული ხასიათის თემების გაშუქებისას უნდა შეირჩეს ძირითადად ის საკითხები, რომელთა ეფექტი. შესაძლებელია, გავლენის მქონე იყოს აჭარის რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ახალი ამბები მნიშვნელოვნად უნდა ფოკუსირდეს საქართველოს რეგიონების ცხოვრებაზეც, რომელთა შორის პრიორიტეტული უნდა იყოს აჭარის მომიჯნავე მხარეები.

ახალ ამბებში, გონივრული პროპორციით უნდა დაეთმოს ადგილი, მსოფლიოში მიმდინარე უმთავრესად იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ საქართველოსთან. განსაკუთრებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან. საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის საქმიანობაში უნდა იყოს თანმიმდევრული და ობიექტური.

საგანგებო სიტუაციების დროს, როცა ბუნებრივმა მოვლენებმა, ტექნიკურმა ან ინდუსტრიულმა ავარიებმა, ფინანსურმა ან პოლიტიკურმა პროცესებმა, შესაძლებელია გავლენა იქონიონ ადამიანთა

სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, ქონებრივ მდგომარეობაზე ან ცხოვრების ჩვეულ რიტმზე, მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიაწოდოს საზოგადოებას მიუკერძებელი და ზუსტი ინფორმაცია.

საჭიროების შემთხვევაში მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საგანგებო და სპეციალური საინფორმაციო გამოშვებების ორგანიზება, დროისა და რეგლამენტის შეუზღუდავად.

მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მნიშვნელოვანი წარმატებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მრჩეველთა საბჭო კიდევ უფრო მეტი ხაზგასმით უდგენს ამოცანებს მაუწყებელს, გასაკუთრებული პრინციპულობით დაიცვას პრიორიტეტებით განსაზღვრული შემდეგი მოთხოვნები:

საზოგადოების ხარისხიანი და ამომწურავი ინფორმირებისათვის აუცილებელია მწვავე და აქტუალური საკითხები, რომლებიც აისახება მაუწყებლის საინფორმაციო საქმიანობაში და, რომელთა დაძლევისათვის ან განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული დრო, გონივრული პერიოდულობით კვლავ უნდა გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკვირვების საგანი. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ცნობები პრობლემათა პოზიტიური ან ნეგატიური დინამიკის, მასში ჩართული საზოგადოების, ჯგუფების, პიროვნებებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ქცევათა შესახებ. აუცილებელია მაუწყებლის ცალკეული მიმართულება იცავდეს კოლეგიალობისა და სოლიდარობის პრინციპებს და თავიანთ საქმიანობაში გუნდები მხარს უჭერდნენ ერთმანეთს.

1.2. დისკუსია, დებატები/ანალიტიკა

მაუწყებლის მიზანია, ხელი შუწყოს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას; პოლიტიკურ, საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ გამჭვირვალობას; მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დისკუსიებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტოკ-შოუების მომზადებასა და მათთვის საუკეთესო საეთერო დროის დათმობას. ტოკ-შოუებმა სპეციალისტების, პროფესიონალების, კვალიფიციური პირების, ორგანიზაციების, ასევე რიგითი მოქალაქეების, გენდერული, უმცირესობების, მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობით, თემებისა და შეხედულებების მრავალფეროვნებით, უნდა შეძლონ განსხვავებული ხედვების წარმოჩენა, ჯანსაღი მიდგომების გამოკვეთისა და საზოგადოებრივი კონსესუსისათვის. სათანადო სადისკუსიო დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე აჭარის მუნიციპალიტეტებს. ტოკ-შოუებმა უნდა ასახონ თემების და შეხედულებების მრავალფეროვნება, რისთვისაც უნდა გაიზარდოს მათში რიგით მოქალაქეთა, სამოქალაქო აქტივისტთა, არასახელისუფლებო პოლიტიკური ჯგუფების, ექსპერტთა მონაწილეობის მოცულობა და ხარისხი.

1.2.1.საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუები

საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ამ გადაცემებმა მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცენ გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და მათ შორის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე. - განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდა წარმოების ორიგინალურ ტოკ-შოუს, რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მასზე მიმართული იქნება

მნიშვნელოვანი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი. ტოკ-შოუებმა უნდა ასახონ თემების და შეხედულებების მრავალფეროვნება, რისთვისაც უნდა გაიზარდოს მათში რიგით მოქალაქეთა, სამოქალაქო აქტივისტთა, არასახელისუფლებო პოლიტიკური ჯგუფების, ექსპერტთა მონაწილეობის მოცულობა და ხარისხი. - უნდა მომზადდეს სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსია, პოლიტიკურ მსოფლმხედველობათა მრავალფეროვნების, გენდერული, უმცირესობათა, მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობისა და რეგიონული პრინციპების დაცვით. გადაცემათა თემების შერჩევისას სახელმძღვანელო უნდა იყოს არა სხვა მედია საშუალებების დღის წესრიგი, არამედ საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს პროგრამული პრიორიტეტები და მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები /მაგ: განათლება, ჯანდაცვა, მიგრაცია და ემიგრანტები, დიასპორა, დევნილები, დასაქმება, ეკოლოგია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიუსაფარი ბავშვები და მოხუცები, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლები, და სხვა

1.2.2. მაუწყებლის განსაკუთრებული ყურადღების საგანია არჩევნები. შესაბამისად ტელევიზიამ უნდა უზრუნველყოს წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, რათა მაყურებელს მისცეს შესაძლებლობა კარგად გაერკვეს საარჩევნო პროგრამებსა და გეგმებში. წინასაარჩევნო დისკუსიები ამომრჩეველს უნდა დაეხმაროს საარჩევნო სუბიექტებისაგან შეთავაზებული პროგრამების რეალობასთან შესაბამისობის კრიტიკულ გააზრებაში.

1.2.3. სოციალურ - ეკონომიკური მიმართულების პროექტები

აჭარის ტელევიზიამ საეთერო ბადეში განთავსებული გადაცემებით უნდა დაძლიოს რეგიონის ქალაქების ურბანული, სამშენებლო, ასევე სოფლის ცხოვრების, ტრადიციული სამეურნეო დარგებისა და ახალი კულტურების დაფუძნების, საგზაო, სატრანსპორტო, სამედიცინო და განათლებასთან დაკავშირებული თემები, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური ასპექტებით.

სპეციალური ანალიტიკური პროექტით უნდა გაშუქდეს რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ტურისტული და საზღვაოსნო ინდუსტრია აჭარის რეგიონის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშანია. შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის გადაცემაში სათანადოდ უნდა ასახონ ამ სფეროების ეკონომიკური და სოციალური მხარეები.

ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შრომაში ჩართვის, თვითდასაქმების, ასევე დასაქმებაში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მონაწილეობის ხარისხს. უნდა წარმოჩნდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან კონკრეტული ადამიანები, თავიანთი წარმატებებით, სიძნელეებითა და პერსპექტივებით.

ტელევიზიის ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ: რეგიონში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა; ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები და პრობლემები. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ასევე სადაზღვევო კომპანიების სერვისების ხარისხისა და შესაბამისობის თემები. შ.შ.მ. საზოგადოების, გენდერული, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საკითხები. უნდა წარმოჩნდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობების თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითები. მათი კულტურების, ქცევებისა და ტრადიციების თავსებადობა ზოგად საზოგადოებრივ რიტმთან.

## 2. საგამოძიებო ჟურნალისტიკა

საგამოძიებო ჟურნალისტიკა რჩება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრიორიტეტად. მაუწყებელმა წინა წლებში გამოვლენილი სიძნელეების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტი ყურადღება და რესურსი უნდა დაუთმოს საგამოძიებო ჟურნალისტიკას, რომელიც თავისი თემატიკით, ექსკლუზიურობითა და აქტუალობით, გამორჩეულ ადგილს მოიპოვებს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე. ავტორ(ებ)მა თემების შერჩევისას გახმაურებულ და მწვავე საკითხებთან ერთად, საფუძვლიანად უნდა გამოიძიონ საზოგადოებისათვის უცნობი და ექსკლუზიური ფაქტებიც, რომელთაც გავლენა აქვთ აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ან მასთან არსებით კავშირშია.

სატელევიზიო სეზონის განმავლობაში უნდა მომზადდეს 12 საგამოძიებო (თვეში ერთი) გადაცემა, რომელსაც რადიოსა და ვებ-გვერდისათვის მიეცემა სათანადო ფორმატი და შესაბამისად აისახება კონკრეტულ პლატფორმებზე.

## 3. თვითმმართველობა

თვითმმართველობა და მასთან დაკავშირებული საკითხებიც, 2018-2019 წლების პროგრამული პრიორიტეტებით, მაუწყებლისათვის განსაზღვრული ერთერთი მთავარი გამოწვევაა. ამ მიმართულებით სათანადო პროგრამებმა უნდა შეძლონ ფართოდ და კვალიფიციურად გააშუქონ:

ა) თვითთმმართველობის არსი და მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის;

ბ) თემის თვითმმართველობის ქართული ეთნოგრაფიული გამოცდილება;

გ) მოქმედი თვითმმართველობის ხარისხის იურიდიული ანალიზი; შესაძლებლობებისა და პრობლემების კრიტიკული შეფასება.

დ) პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირება, აჭარის ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და თემების მაგალითზე.

ე) თვითმმართველობის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამები. გადაწყვეტილების მიღების ფორმალური და რეალური პრაქტიკა.

ვ) მოჩვენებითი ურბანიზაცია, სტიქიური და პროგრამული მიგრაცია. მთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. დარჩენილი სამემკვიდრეო სათესი და სათიბი ფართობები; მოსალოდნელი პრობლემებისა და პერსპექტივების კრიტიკული ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში.

ზ) ევროპული თვითმმართველობის გამოცდილება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მათ შორის, პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდა წარმოების გადაცემას, (ტოკშოუს ან სატელევიზიო ჟურნალი)რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მიმართული იქნება მნიშვნელოვანო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

4. ეკოლოგია

თანამედროვე სამყაროს ერთერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემა ბუნების დაცვისა და ბუნებით სარგებლობის საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არანაკლებ აქტუალურია ჩვენთვისაც, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. შესაბამისად, მაუწყებელმა ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორც ზოგადი თვალსაზრისით, ასევე რეგიონის გამოწვევების გათვალისწინებით. წარმოაჩინოს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების პასუხისმგებლობები, ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ბუნებისდაცვით ხელშეკრულებებში და მათი შესრულების ხარისხი.

5. განათლება

მოცემული პროგრამული პრიორიტეტებით, განათლება და მასთან დაკავშირებული ყოველი საკითხის ღრმა ანალიზი, მაუწყებლისათვის დასახული ერთერთი უმთავრესი ამოცანაა. რომლის წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია სათანადო ტელე/რადიო პროგრამებით წარმოჩნდეს:

ა) განათლების მიზანი;

ბ)სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების განათლების მიზანთან ადეკვატურობის ანალიზი;

გ) სკოლამდელი აღზრდა;

დ) სპორტული აღზრდა და ჯანმრთელობა;

ე) სწავლების ხარისხი საჯარო და კერძო სასწავლო დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და რეალურად მიღებული ცოდნის ზოგადი დონე.

ვ) რეპეტიტორობის პრაქტიკა და რეალურად დახარჯული ფინანსები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად.

ზ) პედაგოგთა ანაზღაურება და სოციალური პრობლემები;

თ) სასწავლო გრანტები და გადასახადების მოცულობა;

ი) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა მომზადების ხარისხის ადეკვატურობა ბაზრის მოთხოვნებთან. პროფესიით დასაქმების სირთულეები და პროპორცია;

კ) უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სამეცნიერო პოტენციალისა და მიღწევების გავლენა სოციალურ - ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ლ) სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებების განსაზღვრის სტრატეგია და მიღწევათა ხელმისაწვდომობა / სარგებელი. სამეცნიერო პერიოდიკა და მისი ზოგადი ანალიზი.

მ) პროფესორთა და სტუდენტთა უცხოურ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში მივლინების, გაცვლითი პროგრამებისა და სტიპენდირების განსაზღვრის წესის/პრაქტიკის, დახარჯული

რესურსებისა და მიღწევების ანალიზი. ამ პროგრამებში მონაწილე პროფესორებისა და სტუდენტების რაოდენობის, პროგრამებით სარგებლობის ინტენსივობისა და ხელმისაწვდომობის ანალიზი.

ნ) პროფესიულ განათლებაზე დახარჯული რესურსებისა და მიღებული შედეგების, შრომის ბაზარზე დამკვიდრების პრობლემათა სოციალ - ეკონომიკური ანალიზი.

ო) ოჯახის, გარემოსა და სასწავლო დაწესებულებების გავლენა ბავშვთა და მოზარდთა ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. მოსწავლეთა უსაფრთხოების პრობლემები. ჩაგვრა. კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ანალიზი და უსაფრთხოების გზების ძიება.

6. საბავშვო / მოზარდთა გადაცემები

ტელევიზიამ საბავშვო გადაცემების მომზადებისა და ანიმაციური პროდუქციის შერჩევისას უნდა გააცნობიეროს ბავშვისადმი/მოზარდისადმი, როგორც მომავალი აქტიური მოქალაქისადმი პასუხისმგებლობა და შეთავაზებული პროდუქტი გასართობთან ერთად უნდა ატარებდეს აღმზრდელობით ხასიათს. მასში გადმოცემული თემა და აქცენტი უნდა მიანიშნებდეს ძალადობის, ჩაგვრის, სიხარბის, შეუწყნარებლობის მიუღებლობაზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს ქართულ ხალხურ ზღაპრებზე, ქართულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ყოფაზე და ამავდროულად, ასაკისათვის შესაფერისი ფორმებით უნდა მიეწოდოთ ცნობები მსოფლიოს ხალხების, განსაკუთრებით მეზობლების, მათი კულტურის,

ისტორიისა და გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ბავშვს მოზარდს გაიგოს და შეიყვაროს საკუთარი კულტურა. გაუჩნდეს ინტერესი და პატივისცემა სხვათა კულტურებისადმი. მოემზადოს ამ კულტურებთან ღირსეული შეხვედრისა და თანამშრომლობისათვის. პროგრამების მომზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე ბავშვების/ მოზარდებისა და მშობლების ჯანსაღი ურთიერთობის ფორმებს, რაც თავის მხრივ, პროექტების სამიზნე არეალს გააფართოებს ბავშვებიდან მშობლებისაკენ.

7. ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია

„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აჭარის მაუწყებლის ვალდებულებაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია.

8. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ისტორიის, რელიგიის, ლიტერატურის, მუსიკის, ფოლკლორის, კინოს, თეატრის, ფერწერისა და არქიტექტურის თემები, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე და აქტუალური რაკურსით. ასევე, უნდა მომზადდეს გადაცემები ან მინი-ფილმები იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც რეგიონის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

9. დოკუმენტური ფილმები

მაღალხარისხიანი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით აქტუალური ხასიათის დოკუმენტური ფილმები, რომელიც ამავე დროს ასახავს მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს, აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ფილმების თემატიკა, სულისკვეთება და ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს ტელევიზიის პრიორიტეტებთან. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სატელევიზიო სეზონის მანძილზე გონივრული პერიოდულობით მაყურებელს უნდა შესთავაზოს ახალი დოკუმენტური ფილმები.

10. მხატვრული ფილმები

აჭარის ტელევიზიის მნიშვნელოვან პროდუქციას წარმოადგენს კინო, რომელსაც უნდა დაეთმოს 18-საათიანი სამაუწყებლო ბადის 50 პროცენტამდე. მსოფლიო სატელევიზიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კინოჩვენება ყველაზე პოპულარული და რეიტინგულია სამაუწყებლო სივრცეში. არხის სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს მექანიკური პროდუქცია, გავითვალისწინოთ კინოს ჟანრი და ასაკობრივი კატეგორია.

11. სპორტი

აჭარის ტელევიზიამ მნიშვნელოვანი საეთერო დრო უნდა დაუთმოს სპორტს. მსოფლიო და ქართულ პროფესიულ სპორტთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოყვარულო და ბავშვთა სპორტს. ზოგადად მოზარდთა ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში. ადგილობრივ - საქალაქო და მუნიციპალურ სპორტულ ტურნირებს, მიღწევებს, წარმატებებს, პრობლემებსა და გამოწვევებს ამ მიმართულებით. აჭარის ტელევიზია თავისი სპორტული პროგრამებით, ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ფართო გაშუქებითა და მხარდაჭერით, წარმატებული მოზარდების წარმოჩენით შეიძლება იქცეს არამხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ინიციატორიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ბავშვთა სპორტულ აღზრდაში. ამასთანავე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სპორტული მედიცინის საკითხებზეც. მაუწყებლის სადისკუსიო თემატიკის ნაწილია ტოკ-შოუ სპორტულ საკითხებზეც. აჭარის ტელევიზიამ თავისი ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა იზრუნოს რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციაზე.

12. ახალგაზრდული და გასართობი პროექტები

ტელევიზიის ეთერით სათანადო დრო უნდა დაეთმოს ახალგაზრდებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მათ სტუდენტურ, შრომით, კულტურულ და სპორტულ ინტერესებს. ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფების/გუნდების/პირების მიღწევებს, მათ შემოქმედებასა და პერსპექტივებს. ტელევიზიის ნაწილში პრიორიტეტების გადანაწილება პროცენტულ მაჩვენებელში:

- ინფორმაცია (ახალი ამბები, ტოკ-შოუ, ანალიტიკა, საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ეკოლოგია, ევროინტეგრაციის საკითხები, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება,) -30%

- შემეცნება - (თემატური გადაცემები, ტოკ-შოუბი) -40%

- გართობა - (მუსიკა, ფილმები, კონკურსები) 30%

# სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2018-2019 წლების პროგრამული პრიორიტეტები

## რ ა დ ი ო

### 1. ახალი ამბები

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დღის მთავარ და განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ზოგადეროვნულ თემებს. განსაკუთრებით იმ საკითხებს, რომლებიც თავისი ეფექტით გავლენის მქონე შეიძლება იყოს აჭარის რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ახალი ამბები ასევე უნდა მოიცავდეს მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ საქართველოსთან. საგანგებო სიტუაციების დროს, როცა მოქალაქეთა ინფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, საინფორმაციო გამოშვებებისათვის განკუთვნილი დრო, ისევე როგორც მოცულობა, შეუზღუდავია.

### 2. საზოგადოებრივ -პოლიტიკური მიმართულება

საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მიმართულებამ უნდა მოიცვას პოლიტიკაში, რეგიონის ხელისუფლებაში, რეგიონის თვითმმართველობებში, ეკონომიკაში, სამართალში, რელიგიურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სამართალდამცავ და სასჯელაღსრულებით სფეროებში, კულტურაში, მედიაში, განათლებაში, მედიცინაში, ეკოლოგიაში, სპორტში, ურბანულ და სასოფლო განვითარებაში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესი. ამ მიმართულებით არსებული მიღწევები, სიძნელეები, წინააღმდეგობები და გამოწვევები. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჟურნალისტური დაკვირვების საგანი გახდეს ისეთი თემებიც, რომელთა მიმართაც გარკვეულ ეტაპზე არ არსებობს რაიმე საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ თავისი მნიშვნელობით შესაძლებელია შეიცავდეს გარკვეულ პოზიტიურ ან ნეგატიურ პოტენციას და მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მისდამი საზოგადოებრივი ყურადღება, შემდგომი პროგრესის ან პრევენციის თვალსაზრისით. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მომზადდეს პოლიტიკური დისკუსიები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსია მსმენელს უნდა დაეხმაროს დეტალურად გაერკვეს მიმდინარე მოვლენებში, მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობასა და შესაძლო შედეგებში. რეგულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიები და პროექტები უნდა ხორციელდებოდეს ყოველდღიურად, სასურველია ერთსა და იმავე საეთერო ზოლში. პირდაპირი ეთერით გადაცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება უნდა პასუხობდეს მოცემული მომენტისთვის წარმოქმნილ ყველა გამოწვევას, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს მიეცემა საშუალება დააფიქსიროს თავისი პოზიცია. მსგავსი ტიპის გადაცემებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსმენელთა აქტიური ჩართულობა. პოლიტიკური დისკუსიის განსაკუთრებული ყურადღების საგანია არჩევნები. შესაბამისად რადიომ უნდა უზრუნველყოს წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის და მსმენელს მისცეს

საშუალება კარგად გაერკვეს საარჩევნო პროგრამებსა და გეგმებში. წინასაარჩევნო დისკუსიები მსმენელს უნდა დაეხმაროს საარჩევნო სუბიექტებისაგან შეთავაზებული პროგრამების რეალობასთან შესაბამისობის კრიტიკულ გააზრებაში.

### 3. თვითმმართველობა

თვითმმართველობა და მასთან დაკავშირებული საკითხებიც, 2018 -2019 წლების პროგრამული პრიორიტეტებით, მაუწყებლისათვის განსაზღვრული ერთერთი მთავარი გამოწვევაა. ამ მიმართულებით სათანადო პროგრამებმა უნდა შეძლონ ფართოდ და კვალიფიციურად გააშუქონ:

ა) თვითთმმართველობის არსი და მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის;

ბ) თემის თვითმმართველობის ქართული ეთნოგრაფიული გამოცდილება;

გ) მოქმედი თვითმმართველობის ხარისხის იურიდიული ანალიზი; შესაძლებლობებისა და პრობლემების კრიტიკული შეფასება.

დ) პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირება, აჭარის ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და თემების მაგალითზე.

ე) თვითმმართველობის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამები. გადაწყვეტილების მიღების ფორმალური და რეალური პრაქტიკა.

ვ) მოჩვენებითი ურბანიზაცია, სტიქიური და პროგრამული მიგრაცია. მთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. დარჩენილი სამემკვიდრეო სათესი და სათიბი ფართობები; მოსალოდნელი პრობლემებისა და პერსპექტივების კრიტიკული ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში.

ზ) ევროპული თვითმმართველობის გამოცდილება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მათ შორის, პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდა წარმოების გადაცემას, (ტოკშოუს ან სატელევიზიო ჟურნალი)რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მიმართული იქნება მნიშვნელოვანო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

### 4. ეკოლოგია

თანამედროვე სამყაროს ერთერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემა ბუნების დაცვისა და ბუნებით სარგებლობის საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არანაკლებ აქტუალურია ჩვენთვისაც, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. შესაბამისად, მაუწყებელმა ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორც ზოგადი თვალსაზრისით, ასევე რეგიონის გამოწვევების გათვალისწინებით. წარმოაჩინოს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების პასუხისმგებლობები, ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ბუნებისდაცვით ხელშეკრულებებში და მათი შესრულების ხარისხი.

## 5. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა მოიცვან ზოგადსამეცნიერო, განათლების, ისტორიის, რელიგიის, ლიტერატურის, ფოლკლორის, კინოს, თეატრის, ფერწერისა და არქიტექტურის თემები, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე და აქტუალური რაკურსით.

6. ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია

„მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აჭარის მაუწყებლის ვალდებულებაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია.

ა) ემიგრანტების ცხოვრება და მათი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი;

## 7. სპორტი

აჭარის რადიომ მნიშვნელოვანი საეთერო დრო უნდა დაუთმოს სპორტს. მსოფლიო და ქართულ პროფესიულ სპორტთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოყვარულო და ბავშვთა სპორტს. ზოგადად მოზარდთა ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში. ადგილობრივ - საქალაქო და მუნიციპალურ სპორტულ ტურნირებს. მიღწევებს, წარმატებებს, პრობლემებსა და გამოწვევებს ამ მიმართულებით. აჭარის რადიო, თავისი სპორტული პროგრამებით, ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ფართო გაშუქებითა და მხარდაჭერით, წარმატებული მოზარდების წარმოჩენით შეიძლება იქცეს, არამხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ინიციატორიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ბავშვთა სპორტული აღზრდის საქმეში. აჭარის რადიომ თავისი ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა იზრუნოს რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციაზე.

## 8. სოციალური და ეკონომიკური მიმართულების პროექტები

აჭარის რადიოს სოციალურმა პროგრამებმა უნდა დაძლიოს რეგიონის ქალაქების ურბანული, სამშენებლო, სატრანსპორტო, ასევე სოფლის ცხოვრების, ტრადიციული სამეურნეო დარგებისა და ახალი კულტურების დაფუძნების, საგზაო, სატრანსპორტო, სამედიცინო და განათლებასთან დაკავშირებული თემები. უნდა წარმოჩნდეს რამდენადაა დამოკიდებული მოსახლეობა სახელმწიფო სპეციალური პროგრამებისა და ზოგადი სერვისების მიწოდებაზე; და რამდენად უნარიანია თავად უმკლავდებოდეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას უბანი, სოფელი, თემი. რამდენადაა შენარჩუნებული შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმები საერთო ამოცანების გადასაჭრელად. ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შრომაში ჩართვის, თვითდასაქმების, ასევე დასაქმებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხს. უნდა წარმოჩნდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან კონკრეტული ადამიანები, თავიანთი წარმატებებით, სიძნელეებითა და პერსპექტივებით. რადიოს ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა დაძლიოს ასევე

რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები და პრობლემები. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ასევე სადაზღვევო კომპანიების სერვისების ხარისხისა და შესაბამისობის თემები. შ.შ.მ. საზოგადოების, გენდერული და ეთნიკური უმცირესობების საკითხები.

### 9. შემეცნებით-გასართობი პროდუქცია

რადიოს ეთერით სათანადო დრო უნდა დაეთმოს ახალგაზრდებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მათ სტუდენტურ, შრომით, კულტურულ და სპორტულ ინტერესებს. ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფების / გუნდების / პირების მიღწევებს. მათ შემოქმედებასა და პერსპექტივებს.

### 10. მუსიკა

ეთერში უნდა ჟღერდეს ქართული ხალხური, მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორული, კლასიკური, საესტრადო, პოპულარული და თანამედროვე მუსიკა. ეთერი დაეთმოს მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს (ხელი შეუწყოს მუსიკალური კონკურსების, ფესტივალებისა და კონცერტების მრავალფეროვნების წარმოჩენას, რომლებიც ამავე დროს ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს).

ა) მუსიკალური წამყვანის (DJ) საათი.

ბ) მუსიკალურ - ინტერაქტიული პროექტები.

გ) დაბალანსებული და რაფინირებული მუსიკარული ბადე.

### 11. არქივი

აჭარის რადიოს გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა გაგრძელდეს რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი კულტურული/მუსიკალური, ლიტერატურული, სამეცნიერო ღონისძიებების ჩაწერა-დაარქივება.

რადიოს ნაწილში პრიორიტეტების გადანაწილება პროცენტულ მაჩვენებელში:

ინფორმაცია (ახალი ამბები, ტოკ-შოუ, ანალიტიკა) -30%

შემეცნება-(თემატური გადაცემები, ტოკ-შოუ) -30%

გართობა (მუსიკა, კონკურსები) - 40%

## სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

## 2018-2019 წლების პროგრამული პრიორიტეტები

### ონლაინ მედიაში

მაუწყებლის ინტერესია თვალი მიადევნოს აუდიტორიის მიგრაციას და საჭიროებებს ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე, 2018-2019 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში კვლავ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტ მიმართულების განვითარებას, რაც მოიცავს, მაუწყებლის ვებ-გვერდების: ajara.tv.ge და სოციალური ქსელების მუდმივ განახლებას.

1. ვებ-გვერდის დახმარებით, მომხმარებელს უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ახალი ინფორმაცია, გაეცნოს მიმდინარე მოვლენებს და მოისმინოს ეთერში გასვლამდე ან უკვე გასული მასალა. ,,გუგლისანალიტიკსის'' საშუალებით შესაძლებელი იქნება ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების რეიტინგის გამოვლენა და მომავალში პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა აუდიტორიის მოთხოვნის შესაბამისად.

2. ვებ-გვერდით მომხმარებელს ასევე უნდა შესთავაზონ უწყვეტი აუდიო მაუწყებლობა (ლაივ-სტრიმი). ასევე სოციალური ქსელით უზრუნველყონ სხვადასხვა გადაცემის პირდაპირი ეთერი. (მაგ: Facebook-ვიდეოლაივი). ფოტოების და აუდიო მასალის გავრცელება მუდმივად უნდა ხდებოდეს ორივე პლატფორმაზე.

3. სოციალურ ქსელში გადაცემების დადება, გაზიარება გადაცემების თემების შერჩევა მცირე გამოკითხვით, დისტანციური კომუნიკაციის გააქტიურება, რაც გულისხმობს კომენტარებსა და კითხვებზე სწრაფად პასუხის გაცემას.

4. ვებ-გვერდზე სხვადასხვა რუბრიკის და გადაცემის განთავსება, რომელიც მომხმარებელის ინტერაქტიულ ჩართულობას გულისხმობს.

5. შეიქმნას რადიოს ონლაინ არხი ,,soundcloudze''-ზე.

6. რეპორტაჟების ტრანსკრიპტის განთავსება ვებგერდზე, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, მსმენელს გაეცნოს და წაიკითხოს აუდიო და ვიდეო მასალის სრული ვერსია

# პროგრამული პრიორიტეტების შესრულება- პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგი

საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც სამაუწყებლო ინსტიტუციას, კანონი ავალდებულებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადასცეს და ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახადოს პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ ჩვენს რეგიონში, მთლიანად საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან, ხელს უნდა უწყობდეს ქართული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის ამაღლებას. საზოგადოებრივი მაუწყებელი საჯარო დაფინანსებით მოქმედებს და ამიტომ იგი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის არაპირდაპირი ვალდებულების მიუხედავად, რომ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭომ მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები განსაზღვროს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გზით, ის მაინც ყოველწლიურად იღებს ვალდებულებას, აღნიშნული დოკუმენტის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა მეტი ჩართულობა და გამჭვირვალობა.

მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები ეფუძნება რამდენიმე წყაროს: საქართველოს კანონმდებლობა, მაუწყებლის მიმართ დამოკიდებულების შესახებ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, ქართულ მედიასთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული ალტერნატიული კვლევები, მედიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის სფეროში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის პროგრამული პრიორიტეტით მრჩეველთა საბჭომ დაადგინა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიამ, რადიომ და ინტერნეტარხმა თანაზომადი მომსახურება უნდა გაუწიოს მომხმარებელს და ამასთან უფრო მეტი ინტერესი გაუჩინოს და მოიზიდოს ახალი მომხმარებელი. მაუწყებლის პროდუქციის ჟანრი, ფორმატი, შინაარსი და მიწოდების არხები უნდა იყოს მიზნობრივად ორიენტირებული შესაბამისი აუდიტორიის გემოვნებასა და მოთხოვნილებებზე. ამასთან, მეტი ფოკუსი გაკეთდეს ღირებულებებზე დაფუძნებულ კონტენტსა და გამორჩეულ ჟანრებზე.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც შეეხებოდა მონიტორინგის სამსახურის გაძლიერებას, ადამიანური რესურსითა და ფუნქციებით. მრჩეველთა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა მონიტორინგის სამსახურის წარმოსადგენი ინფორმაციის ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშის ფორმები. მონიტორინგის სამსახური, რა თქმა უნდა, თანამშრომლობდა მრჩეველთა საბჭოსთან, რაც გამოიხატებოდა მრჩეველთა საბჭოს საჯარო სხდომებზე ანგარიშის წარმოდგენით. ამასთან, მონიტორინგის სამსახურს დამატებით დაევალა თვის დასაწყისში დოკუმენტურად წარმოედგინა ანგარიში პრიორიტეტების შესრულების თაობაზე და ვრცელი ინფორმაცია გადაცემების/პროგრამების ხარისხის შესახებ. აღნიშნული ანგარიში მოიცავს, როგორც პროგრამული პრიორიტეტების შესრულების ანალიზს, ასევე ცალკეული გადაცემის ხარისხის კონტროლს, გარდა ზემოთჩამოთვლილი ფუნქციებისა

აღნიშნული სამსახური სატელევიზიო ან რადიო პროგრამის წარმოების დაწყებამდე/შესყიდვამდე ამზადებს დასკვნებს, თუ რამდენად შესაბამისობაშია ის პროგრამულ პრიორიტეტებთან და სხვა მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებთან, ამზადებს რეკომენდაციებს მიმდინარე სატელევიზიო და რადიო პროგრამების გარდაქმნასთან, ან შეწყვეტასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სამსახურის მიერ მოწოდებული ანგარიშის თანახმად, წარმოგიდგენთ გადაცემების ჩამონათვალს, რომელიც საეთერო ბადეში განთავსდა საანგარიშო პერიოდში. იგი ზუსტად პასუხობს მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ პროგრამულ პრიორიტეტებს:

## საგამოძიებო ჟურნალისტიკა

საგამოძიებო ჟურნალისტიკა რჩება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრიორიტეტად, მაუწყებელმა წინა წლებში გამოვლენილი სიძნელეების გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტი ყურადღება და რესურსი დაუთმო საგამოძიებო ჟურნალისტიკას, მაუწყებლის მიერ იქნა გამოცხადებული კონკურსი, კონკურსში მონაწილეობდა რამდენიმე სტუდია, თუმცა ამ ეტაპზეც საკონკურსო პირობების დაცვით უპირატესობა მიენიჭა სტუდია ,,REK''-ს, რომელიც თვეში ერთხელ ტელევიზიას აწოდებდა საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროდუქტს და რომელიც ძირითადად თავისი თემატიკით, ექსკლუზიურობით, აქტუალურობით, რეიტინგით და მონიტორინგის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გამორჩეულ ადგილს იკავებდა. დასანანია ის, რომ გადაცემა პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, ვერ ახერხებდა ასევე დადგენილი წესით, სათანადო ფორმატით განეთავსებინა გადაცემა ვებ-გვერდსა და რადიოს ეთერში.
**გადაცემა "მრავალკუთხედი აჭარა" ეთერში გადის ყოველი თვის ბოლო პარასკევს, 21:50 საათზე.**

## საზოგადოებრივი პოლიტიკური მიმართულება

სოციოლოგიური კვლევის შედეგად, საზოგადოების დაკვეთა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ იყო მოქალაქეთა ჩართულობა დისკუსიებში და ამ ნიშნით ტოკ-შოუების მომზადება. გადაცემა ,,ახალი სივრცე'' საზოგადოებრივ პოლიტიკური ტოკ-შოუა, რომელიც ყოველკვირეულად განიხილავს საზოგადოებისთვის აქტუალურ თემას. ამ გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს დისკუსიაში აუდიტორიის აქტიურ ჩართვას. მაუწყებლის განსაკუთრებული ყურადღების საგანი და კანონისმიერი ვალდებულებაა არჩევნების გაშუქება, შესაბამისად ტელევიზიამ უზრუნველყო წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა . გადაცემა "არჩევნები-2018" საპრეზიდენტო არჩვენების პირველი ტურის წინ გავიდა ეთერში. გადაცემის სტუმრები იყვნენ საპრეზიდენტო კანდიდატები (თუმცა დებატებში მონაწილეობა არ მიუღია ყველა რეგისტრირებულ კანდიდატს). გადაცემებს დადებითი შეფასება ჰქონდა.
გადაცემები „ახალი სივრცე“, „ფაქტორი“, „არჩევნები-2018“ საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტებს სრულად ასრულებდა.

## ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია

ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია,, მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებაა. საანგარიშო პერიოდში აჭარის ტელევიზიამ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მიზნით აგრძელებს გადაცემა " ემსახურე საქართველოს. ამავე დროს, გადაცემა „დილის ტალღის" ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი „ძალა ევროპაშია" ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული პროექტები უმეტესწილად მაღალი რეიტინგით გამოირჩეოდა.

**ვემსახურები საქართველოს"-ყოველ კვირას 20:საათზე** გადის.

## სოციალურ- ეკონომიკური მიმართულების პროექტები

აჭარის მაუწყებელმა საეთერო ბადეში განთავსებული გადაცემებით უნდა დაძლიოს რეგიონის ქალაქების ურბანული, სამშენებლო, ასევე სოფლის ცხოვრების ტრადიციული სამეურნეო დარგებისა და ახალი კულტურების დაფუძნების საგზაო, სატრანსპორტო, სამედიცინო და განათლებასთან დაკავშირებული თემები, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური ასპექტებით. ამ მრავლისმომცველი ვალდებულებების დაძლევა მენეჯმენტის გადაწყვეტილებით შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდდამხოლოდ ანალიტიკური ჯგუფის შექმნით, რომელიც ტელევიზიის ადამიანური რესურსების შეკრებით მოხერხდებოდა. შესაბამისად გადაცემა ,,მთავარი აჭარაში', "კვირის მთავარი" და "ახალი სივრცე" სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია **შაბათ-კვირას 21:00 საათზე და ხუთშაბათს 22:00 საათზე.**
გადაცემა პრიორიტეტებში დასახულ ამოცანებს სრულად პასუხობს.

## ეკოლოგია

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა ბუნების დაცვისა და ბუნებით სარგებლობის საკითხებთანაა დაკავშირებული, რომელიც არანაკლებ აქტუალურია ჩვენთვისაც, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. შესაბამისად მაუწყებელმა ყურადღება დაუთმო ეკოლოგიური პრობლემების გაშუქებას. გადაცემა ,,ბუნების კანონი'' მზადდება ყოველკვირეულად, მწვავედ და კრიტიკულად ასახვს რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორც ზოგადი თვალსაზრისით, ასევე გამოწვევების გათვალისწინებით. გადაცემა გადაცემის რეიტინგი არის თვალსაჩინოდ მზარდი.
**"ბუნების კანონი" ეთერში გადის ორშაბათს, 12:15 საათზე.**

## კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ამ მიმართულებების პროგრამებმა უნდა მოიცვან ზოგად სამეცნიერო, განათლების ისტორიის, რელიგიის, ლიტერატურის, მუსიკის, ფოლკლორის. კინოს თეატრის, ფერწერისა და არქიტექტურის თემები, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე და აქტუალური რაკურსით. აღსანიშავია, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებით მოცემული პრიორიტეტები ცალკეულ შემთხვევაში არის გაზნეული სხვადასხვა გადაცემაში, რომელსაც საეთერო ბადეში ყოველკვირეულად აქვს დრო, მათ შორის გადაცემა ,,ჰეშთეგი', "კვირის მთავარი" და "დილის ტალღა' რომლებიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით აქტუალური ხასიათის პრიორიტეტების ამ ნაწილს აშუქებს. ხოლო გადაცემა „არტ-ექსპერტი" კულტურულ ცხოვრებაში არსებულ პიზიტიურ და პრობლემურ მხარეებს მიმოიხილავს, **გადაცემა არტ-ექსპერტი" ეთერში გადის პარასკევს, 22;00საათზე.**

## მხატვრული ფილმები

აჭარის ტელევიზიის მნიშვნელოვან პროდუქციას წარმოადგენს კინო, რომელსაც ამ ეტაპზე უნდა დაეთმოს 18 საათიანი სამაუწყებლო ბადის დაახლოებით 50%, არხის სტატუსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს მექანიკური პროდუქცია, გავითვალისწინოთ კინო ჟანრი და ასაკობრივი კატეგორია. ამ ეტაპზე ტელევიზიის განვითარების გუნდი და მონიტორინგის და ხარისხის კონტროლის სამსახურის წარმომადგენლები რამდენიმე კრიტერიუმით არჩევენ მხატვრულ ფილმებს, ეს კრიტერიუმებია რეიტინგი, სხვადასხვა ფესტივალზე გამარჯვებული ფილმები და ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინება.

## დოკუმენტური ფილმები

აჭარის ტელევიზიისთვის მაღალხარისხიანი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით აქტუალური ხასიათის დოკუმენტური ფილმები, რომელიც ამავე დროს ასახავს მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს, ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება. ფილმების თემატიკა, სულისკვეთება და ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს ტელევიზიის პრიორიტეტებთან. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სატელევიზიო სეზონის მანძილზე გონივრული პერიოდულობით მაყურებელს უნდა შესთავაზოს ახალი დოკუმენტური ფილმები. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის ტელევიზიამ 2018 წელს მხოლოდ ორი დოკუმენტური ფილმი აწარმოა, ესენია: ანზორ ქათამაძის „შუა ჭანეთი" და ბერდია კუტუბიძის „ისევ და ისევ"

## საბავშვო/მოზარდთა გადაცემები

პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრულია, რომ საბავშვო გადაცემების მომზადებისა და ანიმაციური პროდუქციის შერჩევისას მაუწყებელმა უნდა გააცნობიეროს ბავშვისადმი, მოზარდისადმი, როგორც მომავალი აქტიური მოქალაქისადმი პასუხისმგებლობა და შეთავაზებული პროდუქტი გასართობთან ერთად უნდა ატარებდეს აღმზრდელობით ხასიათს. მასში გადმოცემული თემა და აქცენტი უნდა მიანიშნებდეს, ძალადობის, ჩაგვრის, სიხარბის მიუღებლობაზე. პროგრამების მომზადების დროს ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ბავშვების, მოზარდებისა და მშობლების ჯანსაღი ურთიერთბის ფორმებს. რაც თავის მხრივ, პროექტების სამიზნე არეალს გააფართოებს ბავშვებიდან მშობლებისაკენ. საანგარიშო პერიოდში აჭარის მაუწყებელმა კვლავ ვერ უზრუნველყო პროგრამული პრიორიტეტებით დადგენილი საბავშვო გადაცემების მომზადება, თუმცა, კვარტალური ანგარიშის წარმოდგენისას, ამ საკითხზე კრიტიკის საპასუხოდ, მაუწყებლის დირექტორის მოსაზრებით პრიორიტეტები სრულდება შესაბამისი მექანიკური პროდუქტის სამაუწყებლო ბადეში განთავსებითა და ამავე დროს, გადაცემა "უცხო სუნელი’’-ს მომზადებაში ბავშვების ჩართვით. მრჩეველთა საბჭოს მოთხოვნაა, რომ რაც შეიძლება მცირე დროში მომზადდეს პრიორიტეტების ამ მუხლის არაინტერპრეტაციით, არამედ ზუსტი შინაარსით გადაცემის დაგეგმვა და ეთერში განთავსება.

## სპორტი

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სპორტული რედაქციის საბოლოო გამართვას და ჩამოყალიბებას, გრძელდება მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სპორტული ბლოკი ,,მთავარი სპორტში’’ ასევე, ტოქ-შოუ .,სპორტკლუბი’’, მაუწყებლის პრიორიტეტად იქცა აჭარის სპორტული კლუბების მხარდაჭერის საკითხი. აჭარის ტელევიზია წარმოაჩენს წარმატებულ მოზარდებს და პროპაგანდას უწევს ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

## ახალგაზრდული და გასართობი პროექტები

ტელევიზიის ეთერით სათანადო დრო უნდა დაეთმოს ახალგაზრდებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მათ სტუდენტურ, შრომით, კულტურულ და სპორტულ ინეტერესებს, ახალგაზრდულ შემოქმედებითი ჯგუფების პერსპექტივებს. გადაცემა ,,დილის ტალღა’’ და ,,ჰეშთეგი’’ განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას ამ პრიორიტეტული ნაწილის შესრულებას.

# რადიო აჭარა

საანგარიშო პერიოდში ''რადიო აჭარაში'' გაგრძელდა განახლებული ეთერისთვის მზადების პროცესი, კერძოდ პროგრამა=პრიორიტეტს პროექტის ფარგლებში შეთანხმდა ახალი გადაცემების საეთერო ბადეში განთავსების საკითხები. გაიწერა და დაიგეგმა ფიქსირებული სამაუწყებლო ბადე.

ეთერში გავიდა გადაცემა "რადიოვიზია", რომელიც სამივე პლატფორმაზე მაუწყებლობს. დილის მაუწყებლობის გათვალისწინებით, გადაცემა სხვადასხვა რუბრიკას მოიცავს.

## შემეცნებით-გასართობი პროდუქცია

"საღამო მშვიდობისა" შემეცნებითი მუსიკალური გადაცემაა, რომელიც გადის რადიოს ეთერში, საღამოს 20 საათიდან 23 საათამდე და ძირითადად მოიცავს პრიორიტეტების ერთ ნაწილს:. რადიოს ეთერით სათანადო დრო უნდა დაეთმოს ახალგაზრდებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მათ სტუდენტურ, შრომით, კულტურულ და სპორტულ ინტერესებს. ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფების / გუნდების / პირების მიღწევებს. მათ შემოქმედებასა და პერსპექტივებს.

"შუადღის ზოლი"-ასევე არის ახალი გადაცემა, რომელიც ეთერში გადის ყოველდღიურად, შემეცნებითი-გასართობი პროგრამაა და მოიცავს პრიორიტეტების ამავე მუხლს. გადაცემა ეთერში გადის14 საათიდან 16 საათამდე.

აჭარის რდიოს ეთერში ისევ გრძელდება გადაცემები პრიორიტეტების გათვალისწინებით. ,,კონტაქტი'', ,,საღამო მშვიდობისა'' ,,ეკო სამყარო'' ,,სპორტული ტოკ-შოუ'' და "კომპეტენტური პასუხი". ასევე დაემატა გარე წარმოებით გადაცემა, ,,ჩემი ალტერნატივა" და ,,სინემა."

სოციალური და ეკონომიკური მიმართულების პროექტებმა უნდა დაძლიონ ის აქტუალური საკითხები, რომლებიც რეგიონისთვის განსაკუთრებულად სპეციფიკური და მნიშვნელოვანია, ამ მიმართულების გადაცემაა, ,,კონტაქტი'', რომელიც ყოველდღიურია, სამაუწყებლოს ბადეში 2017 წლის სექტემბრიდან განთავსდა. იგი ასახავს იმ პრიორიტეტულ საკითხებს, რომლებიც რადიოს შემოქმედებით ჯგუფს მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებით დაევალა.

რადიოს ეთერში გადის საბავშვო გადაცემა "ღია ეთერი", რომელიც ეხება ყველაფერს, რა აინტერესებს მოზარდებს, განათლების სფეროში არსებულ პოზიტიურ ცვლილებას თუ პრობლემებს, გადაცემა ეხება ყველა აქტუალურ თემას, რომელიც მოზარდებს აღელვებს.

მნიშვნელოვანია, რომ აჭარის რადიო პრიორიტეტებს მუსიკის ნაწილშიც ასრულებს, პროგრამული პრიორიტეტით არსებული ვალდებულებაა, რომ ''რადიო აჭარამ'' ქართული კულტურის პოლულარიზაციას შეუწყოს ხელი.

## მაუწყებლობა ინტერნეტში

პროგრამულ პრიორიტეტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტ მიმართულების განვითარებას, რაც მოიცავს, მაუწყებლის ვებგვერდების მართვას და სოციალური ქსელების მუდმივ განახლებას.

ინტერნეტპლატფორმის მოკლე მიმოხილვა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე სტატისტიკა სტაბილურია, სტაბილურობის მიღწევა კარგი მაჩვენებელია, როცა საიტზე შემოსულ მკითხველს ინარჩუნებ, ეს ვების გუნდის ერთერთი ამოცანა გახდა, რომელიც წარმატებითაა მიღწეული. ამასთანავე სასურველია, სტაბილური შემომსვლელების რაოდენობა გაიზარდოს.

## ➡ ონლაინ მედიის სამსახური - შედეგები და საჭიროებები

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელის ვებგვერდს 2017 წლამდე, ძირითადად, ტელევიზიის არქივის ფუნქცია ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედია ორგანიზაციები ონლაინ პლატფორმებს აქტიურად იყენებდნენ, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში, ამ მიმართულებით, რადიკალური ცვლილებები არ განხორციელებულა.

2017 წლის დასაწყისში საიტზე ყველაზე დიდი აქტივობა 11-12 მარტს დაფიქსირდა. ტოპ.გე მონაცემებით ამ დღეებში ვიზიტორთა რაოდენობა მაქსიმალური 3621-მდე იყო. ზოგადად, საშუალოდ შემომსვლელთა რაოდენობა კი 1000-მდე არ აღწევდა.




მარტის თვიდან, საიტზე მულტიმედია პროდუქტები მცირე რაოდენობით გამოჩნდა და ტელევიზიის ვებ-გვერდის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაც მომენტალურად, რამდენიმე ათასით გაიზარდა.

მოქალაქეების ჩართულობის მაჩვენებლები ყოველთვიურად იზრდებოდა, რასაც ხელს უწყობდა სოციალურ მედიაში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის სწორი პოზიციონირება.

ყველაზე მაქსიმალური მაჩვენებელი მოქალაქეების საიტზე შემოსვლის „ლეოგრანდის" ტრაგედიის დროს დაფიქსირდა 71.620 .




2018 წელს საიტზე შემომსვლელთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

2017 წელს ყოველდღიურად შემომსვლელთა საშუალო მაჩვენებელი დღიურად თუ 5-დან 7 000 მდე იყო, 2018 საშუალო ციფრი გახდა 12-დან 15 ათასამდე.




მაუწყებლის მიზანი, აჭარის მაუწყებლის ონლაინ პლატფორმა ჰქონოდა არა არქივის ფუნქცია, არამედ მოქალაქეებისთვის სწრაფად ინფორმაციის მიღების საშუალება გამხდარიყო, ნაწილობრივ მიღწეულია.

ამას ცხადჰყოფს მაუწყებლის სოციალური ფბ გვერდის აქტივობებიც. მოქალაქეების ჩართულობა.

დღეს მაუწყებლის ფბ გვერდი ყოველდღიურად ახერხებს საქართველოს მასშტაბით ონლაინ მედიების ფბ გვერდებს კონკურენცია გაუწიოს.




| | Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Likes | Growth % and # |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 12,100 | 0.103% | 25 | 215,790 | 110,113 | +0.4% |
| 1 | Rustavi 2 | 140,559 | 0.052% | 59.29 | 3.22M | 654,397 | +0.40% +2,616 |
| 2 | TV Imedi | 137,317 | 0.043% | 82.43 | 790,580 | 550,941 | +0.37% +2,045 |
| 3 | პირველი არხი | 67,678 | 0.026% | 148.29 | 583,438 | 250,605 | +0.46% +1,151 |
| 4 | ambebi.ge • ამბები.ge | 46,884 | 0.04% | 47.57 | — | 352,089 | +0.06% +212 |
| 5 | TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი | 43,473 | 0.042% | 84.57 | 2.45M | 173,188 | +1.22% +2,095 |
| 6 | რადიო თავისუფლება | 35,586 | 0.037% | 57 | 519,941 | 243,088 | +0.62% +1,495 |
| 7 | დრო მიდის, კადრები კი რჩება - Dro | 31,891 | 0.286% | 5.14 | 172,187 | 309,771 | +0.11% +347 |
| 8 | თოქ-შოუ პროფილი | 26,107 | 0.407% | 3.86 | 1.64M | 237,657 | +0.47% +1,108 |
| 9 | მიხეილ უკრაინოლოგი | 24,246 | 0.437% | 5.71 | 260,625 | 138,933 | +0.19% +261 |
| 10 | TV პალიტრანიუსი - TV PalitraNews | 21,215 | 0.022% | 123.29 | 772,007 | 111,867 | +0.63% +701 |
| 11 | POSTV - გართობა | 20,384 | 0.392% | 2.57 | 1.30M | 289,578 | +0.83% +2,396 |
| 12 | ტაბულა • Tabula | 20,194 | 0.023% | 64.86 | 214,762 | 192,874 | +0.14% +274 |
| 13 | palitravideo.ge | 17,917 | 0.024% | 46.29 | 53,933 | 226,187 | +0.19% +436 |
| 14 | Kakha Kaladze კახა კალაძე | 13,890 | 0.418% | 1.29 | 156,219 | 369,828 | +0.51% +1,869 |
| 15 | netgazeti.ge | 13,563 | 0.051% | 42.57 | 45,005 | 87,865 | +0.16% +141 |
| 16 | კვირის პალიტრა www.kvirispalitra.ge | 10,694 | 0.033% | 40.86 | — | 112,688 | +0.08% +89 |
| 17 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV | 10,462 | 0.058% | 34.86 | 44,483 | 72,961 | +0.36% +265 |
| 18 | NEWS.On.ge | 10,275 | 0.057% | 29.43 | 27,085 | 85,355 | +0.24% +207 |
| 19 | ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ / Nanuka Zhorzholiani's Show | 9,447 | 0.168% | 2.43 | 330,899 | 331,238 | +0.48% +1,592 |
| 20 | BMG | 8,484 | 0.029% | 61.86 | 168,531 | 66,450 | +0.91% +601 |
| 21 | ალია | 7,825 | 0.069% | 50.71 | — | 31,742 | +0.14% +44 |
| 22 | ამერიკის ხმა | 7,225 | 0.046% | 11.29 | 302,954 | 197,184 | +0.12% +238 |



Explore

Lists

State and National Parks
Tech News
TELE-ფონი
Travel (Full List)
TV Personalities
TV Shows: ABC
TV Shows: Amazon Original...
TV Shows: CBS
TV Shows: FOX
TV Shows: HBO
TV Shows: NBC
UK News & Media
US Top Newspapers
Verified Journalists (All...
Viral Media
არასამთავრობო ორგანიზაციე...
არტ - ART geo
აჭარის ტელევიზია
დილის გადაცემა
ინფოგრაფიკა - infographic...
მე ვარ ფერმერი
რეგიონები
საზოგადოება
საშენებლო
საფეხბურთო კლუბები
• საქართველო
სკოლები/school
სპორტული საქართველო
უნივერსიტეტი

GROUPS

All Group Lists
Start Up Groups
Virtual Reality Groups

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | BMG | 8,484 | 0.029% | 61.86 | 168,531 | 66,450 | +0.91% +601 |
| 21 | ალია | 7,825 | 0.069% | 50.71 | — | 31,742 | +0.14% +44 |
| 22 | ამერიკის ხმა | 7,225 | 0.046% | 11.29 | 302,954 | 197,184 | +0.12% +238 |
| 23 | InterPressNews.ge | 6,619 | 0.018% | 52 | — | 98,255 | +0.19% +186 |
| 24 | ბათუმელები • Batumelebi.ge | 6,413 | 0.119% | 17.14 | 27,209 | 44,537 | +0.64% +285 |
| 25 | Mastsavlebeli.Ge | 6,279 | 0.264% | 7.29 | — | 46,650 | +0.23% +107 |
| 26 | On.ge | 6,098 | 0.061% | 14 | 1,008 | 101,113 | +0.32% +326 |
| 27 | The Georgian Times | 5,363 | 0.03% | 26.86 | — | 93,738 | -0.02% -23 |
| 28 | მედიაჰოლდინგი „კვირა" | 4,663 | 0.015% | 54.86 | 51,602 | 78,210 | +0.24% +184 |
| 29 | POSTV | 4,453 | 0.235% | 2.43 | 285,962 | 111,583 | +0.76% +842 |
| 30 | ლიბერალი / Liberali | 4,116 | 0.027% | 26.71 | 37,303 | 81,346 | +0.09% +75 |
| 31 | სხვა შუადგე / Skhva Shuadge | 4,025 | 0.128% | 3.14 | 210,247 | 141,927 | +0.41% +583 |
| 32 | P.S. | 3,202 | 0.564% | 1.57 | 123,778 | 51,982 | +0.99% +511 |
| 33 | რეზონანსდეილი | 3,072 | 0.03% | 69.71 | — | 20,231 | +0.20% +41 |
| 34 | ინდიგო • Indigo | 3,028 | 0.273% | 5.29 | 57,060 | 30,045 | +2.74% +801 |
| 35 | POSTV - ახალი ამბები | 2,433 | 0.032% | 16.57 | 133,459 | 63,104 | +0.34% +214 |
| 36 | Ipress.ge | 2,242 | 0.006% | 108 | 8,794 | 32,763 | +0.04% +14 |
| 37 | პრაიმშოუ • PrimeShow | 2,012 | 0.071% | 2.14 | 166,581 | 190,118 | +0.19% +368 |
| 38 | რადიო კომერსანტი • Radio Commersant | 1,474 | 0.011% | 62 | 18,957 | 28,448 | +0.75% +211 |
| 39 | kavkasiatv | 1,245 | 0.054% | 29 | 4,337 | 11,215 | +0.73% +81 |

ეს მონაცემები ყოველდღიურად იცვლება, თუმცა მე-17 პოზიციაზე მყარად ვართ. ეს რეიტინგი ფბ მომხმარებლების ჩართულობით, კომენტარებითა და პოსტებზე რეაქციების გამოხატვით ხდება.

რაც შეეხება, მომხმარებელთა ზრდის დინამიკას. 2017 წლის დასაწყისში გვყავდა 26 ათასი მომწონებელი ფეისბუკ-გვერდზე (ლაიქერი )

იხ. სქრინი




2017 წლის ბოლოს ეს ციფრი ორმაგდება და 48 .500 ხდება




ხოლო დღეს მაუწყებელს ფეისბუკგვერდზე უკვე 72 ათასზე მეტი მომწონებელი ჰყავს.

# 4. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი

**2018 წ.** ბადეში იყო განთავსებული შემდეგი გადაცემები:

1. ერთი დღე სოფელში - გადაცემა სოფლის ისტორიებზე;
2. ეთნოფორი - ეთნიკური კულტურა, ხალხური სიმღერა;
3. მე ვარ ფერმერი - გადაცემა მეურნეობის შესახებ;
4. უცხო სუნელი - კულინარული პროექტი;
5. პროექცია - ინტერვიუები საინტერესო ადამიანებთან;
6. თეთრი კვადრატი - გადაცემა კინოხელოვნების შესახებ;
7. ბუნების კანონი -გადაცემა ბუნების დაცვაზე;
8. ბიბლიოთეკა - გადაცემა ლიტერატურის შესახებ;
9. ვემსახურები საქართველოს- სამხედრო-შემეცნებითი გადაცემა;
10. არტ-ექსპერტი - გადაცემა კულტურის შესახებ;
11. ზღაპარი (იანვარი-მარტი) - საბავშვო
12. საავტორო დოკ.ფილმი (იანვარი-მარტი, 5 ფილმი)
13. მრავალკუთხედი აჭარაში (საგამოძიებო) - საგრანტო პროექტი (6 გადაცემა)
14. ანარეკლები - საზოგადოებრივი მოვლენები (რადიო „თავისუფლება“-ს პროექტი) (იანვარი-ივნისი, განახლდა ოქტომბრიდან)
15. კონტექსტი - განიხილავენ საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პროცესს, ჰიბრიდულ საფრთხეებს, ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული პროპაგანდის თემას (იანვარი-მარტი, სულ 6 გადაცემა)
16. „ევრომაქსი“- DW (დოიჩე ველეს პროექტი)
17. სცენა-გადაცემა თეატრალურ სამყაროზე


მთავარი
აჭარაში






პროექცია


დილის
ტალღა


ART
ექსპერტი








თოქ-შოუ:

1. სპორტკლუბი - სპორტული გადაცემა;
2. ჰეშთეგი -სოციალურ-ანალიტიკური მედია პროდუქტი;
3. დილის ტალღა - გასართობ-შემეცნებითი გადაცემა;
4. რადიოვიზია (აპრილიდან) - მულტიპლატფორმული დილის გადაცემა;
5. იმპულსი - სამედიცინო გადაცემა (იანვარი-მარტი, შემდეგ რადიოვიზიის ფორმატში)
6. აკვარიუმი (აპრილიდან) - ინტერაქტიული პროექტი;
7. მთავარი აჭარაში - პოლიტიკური;
8. კვირის მთავარი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური;
9. ახალი სივრცე - საზოგადოებრივ-პოლიტიკური (2018 წ. ივლისამდე)

დოკუმენტური ფილმი:

1. „ართაანი“-2.
2. არტები ცნობილ მოჭადრაკეებზე;
3. დოკ.ფილმი „საჭადრაკო ოლიმპიადა“;
4. დოკ.ფილმი „ურბანული აჩრდილები“;
5. დოკ,ფილმი „სადაც არ უნდა იყო“.

გარე წარმოება:

1. საგამოძიებო დოკ. ფილმი „მრავალკუთხედი აჭარაში“ (ივლისი-დეკემბერი 7 გადაცემა);
2. ტელესპექტაკლები - 12 სპექტაკლი.

2018 წ. 10 სექტემბრიდან ბადეში მოხდა ცვლილება:

- საავტორო გადაცემების მთავარი ზოლი გადაინაცვლა 21:40 და 18:30-დან 17:00 საათზე, თოქ-შოუს ზოლი კი დარჩა 22:00;
- „აკვარიუმი“ – 00:05-დან 23:00 საათზე;
- ცვლილება მოხდა ახალი ამბების ფორმატში და ხანგრძლივობაში: მთავარი საინფორმაციო ზოლი გახდა 18:00 (45წ.), ხოლო 21:00 ახალი ამბების ფორმატი ითვალისწინებს სტუმრის ჩართულობას (15წ.);
- ბადიდან იქნა ამოღებული ყოველდღიური მოკლე დაიჯესტი (1 საათში ერთჯერ);
- მთავარი აჭარაში და კვირის მთავარი (შაბათი-კვირა) 21:00 -საათიდან გადაინაცვლა 19:00, ახალი ამბები (შაბათი-კვირა) 18:00 გადაინაცვლა 21:00-საათზე;
- ჰეშთეგი - 20:00-დან გადაინაცვლა 19:00-ზე ;
- ბადეში ცვლილებაა მექანიკური პროდუქციის განთავსებაშიც: ქართული ფილმი ბადეში განთავსდა ყოველ სამუშაო დღეს 15:30;
- BBC დოკ.ფილმები 20:00.

პროექტების შინაარსობრივი და ვიზუალური განახლება:

- მთავარი აჭარაში - პროექტს დაემატა ორი მნიშნელოვანი თემატიკის რუბრიკა: კულტურის სიახლეები და უცხოეთის მიმოხილვა. ორივე რუბრიკას წარმოადგენენ დარგის სპეციალისტები;
- კვირის მთავარი - პროექტს დაემატა ორი რუბრიკა: პრესის მიმოხილვა და პორტრეტი;
- 18:00 ახალი ამბები - დაემატა ამინდის და სპორტის რუბრიკები წამყვანით;
- 21:00 ახალი ამბები - ორშაბათი-პარასკევი, ხანგრძლივობა 1 ს., დაემატა სპორტის ბლოკი წამყვანით. შაბათი -კვირის ახალი ამბების ფორმეტი, ხანგრძლივობა 15 წ. , ითვალისწინებს სტუმრის ჩართვას;
- სათქმელი - სოციალურ-პოლიტიკური თოქ-შოუ. პროექტი არის გადაცემა „ახალი სივრცე“-ს განახლებული ვერსია. გადაცემა გადის ახალი სტუდიიდან, მოიცავს ფართო აუდიტორიის ჩართულობას. თოქ-შოუს დაემატა თემატური სიუჟეტი და ხალხის გამოკითხვა. გაიზარდა აუდიტორიის რაოდენობა 16 ადამიანიდან 21-მდე;

- დილის ტალღა - გასართობ-შემეცნებითი გადაცემა. თოქ-შოუ ეთერში გადის ახალი სტუდიიდან, რომელიც აძლევს შემოქმედებით გუნდს საშუალებას გაზარდოს სტუმრის რაოდენობა, ჩართოს მუსიკალური ნომრები, თემატიკიდან გამომდინარე გააფორმოს სტუდია. პროექტს ჰყავს ახალი წამყვანები, განახლდა რუბრიკები, დაემატა რუბრიკა „ძალა ევროპაშია“ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო-ს მხარდაჭერით;
- 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების ძირითადი ნაწილი გადაცემის შინაარსობრივ გამრავალფეროვნებას დაეთმო. ჩაეშვა ახალი რუბრიკები: #ჯერსაქართველო #რკინისთეატრი #იყავიდაცული #გადაამოწმე. ოთხივე მათგანი განსხვავებულ მიმართულებებს მოიცავდა [მოგზაურობა, კულტურული მემკვიდრეობა, პერსონალური მონაცემები, ბიუროკრატიული ხარჯი]. ასევე, განხორციელდა რამდენიმე ახალი პროექტი ევროინტეგრაციისა და სოციალური მუშაკების მხარდაჭერის, ყალბი და ნამდვილი ამბების ამოცნობის, მიგრაციის პოლიტიკის გაანალიზების მიზნით [დონორებიც: ევროკავშირი, მიგრაციის ცენტრი, განათლების საერთაშორისო ცენტრი, ფონდი ღია-საზოგადოება საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია].
- 2018 წლის მიწურულს გადახალისდა გადაცემის სტუდია.
- 2019 წელს, მასშტაბური ცვლილება ჯერჯერობით არ განხორციელებულა.
- მე ვარ ფერმერი - მედია პლათფორმა EUGoergia info-სთან თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო - მომზადებული მასალების ორმხრივად გაცვლა. გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს დაემატა კონსულტანტი. პროექტს დაემატა რუბრიკა „ფერმერის კითხვა“. დონორი ორგანიზაციიდან „Mercy Corps”გადაცემამ მიიღო გრანტი, რომლის ფარგლებშიც ტელევიზიას გადაეცა - პროფესიონალური კამერა, ზუმი, ფონი განათებით. დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, თვეში ერთი გადაცემა სრულად მზადდება - მომხმარებლის უფლებებზე. აგროტვ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, მომზადებული გადაცემები გადის აგროტვ-ის ეთერში, რაც ზრდის დაფარვის ზონას;
- უცხო სუნელი - კულინარული პროექტი. სეზონურად ხდება პროექტის განახლება. ერთ-ერთი მნიშნელოვანი მიმართულებაა - გასტრონომიული ტურიზმი. 6 ქვეყნის სამზარეულო იყო გაშუქებული გადაცემის ფორმატში.
  - 2019 წ. იანვრიდან გადაცემა მუშაობდა საბავშვო სამზარეულოს მიმართულებით;
- იმპულსი - მოხდა პროექტის განახლება, გადაცემა განთავსებულია ეთერში ყოველდღიურ (ორშაბათი-პარასკევი) რადიოვიზიის ფორმატში სამი სხვადასხვა წამყვანი მონაცვლეობით , პროექტს დაემატა რუბრიკა „რჩევები“. გადაცემის ხანგრძლივობაა 15 წ. პროექტი დამოუკიდებლად განმეორებით გადის ყოველ სამუშაო დღეს ბადის საღამო ზოლში;
- ბადეში გათვალისწინებულია ყოველდღიურად (ორშაბათი-პარასკევი) ამინდის პროგნოზი, პროგრამათაშორისის ფორმატში.

**2019 წ.** ბადეში განთავსებულია შემდეგი გადაცემები:

1. ერთი დღე სოფელში - გადაცემა სოფლის ისტორიებზე;
2. ეთნოფორი - ეთნიკური კულტურა, ხალხური სიმღერა;
3. მე ვარ ფერმერი - გადაცემა მეურნეობის შესახებ;
4. უცხო სუნელი - კულინარული პროექტი;
5. პროექცია - ინტერვიუები საინტერესო ადამიანებთან;
6. თეთრი კვადრატი - გადაცემა კინოხელოვნების შესახებ;
7. ბუნების კანონი -გადაცემა ბუნების დაცვაზე;
8. ბიბლიოთეკა - გადაცემა ლიტერატურის შესახებ;
9. ვემსახურები საქართველოს- სამხედრო-შემეცნებითი გადაცემა;
10. ანარეკლები - საზოგადოებრივი მოვლენები (რადიო „თავისუბლება"-ს პროექტი) (იანვარი-ივნისი, განახლდა ოქტომბრიდან)
11. ათვლის კუთხე - სოციალური მედიაპროექტი (18 მარტიდან)
12. „ევრომაქსი"- DW (დოიჩე ველეს პროექტი)
13. სცენა-გადაცემა თეატრალურ სამყაროზე

თოქ-შოუ:

1. სპორტკლუბი - სპორტული გადაცემა;
2. ჰეშთეგი -სოციალურ-ანალიტიკური მედია პროდუქტი;
3. დილის ტალღა - გასართობ-შემეცნებითი გადაცემა;
4. რადიოვიზია (აპრილიდან) - მულტიპლატფორმული დილის გადაცემა.
5. იმპულსი - სამედიცინო გადაცემა (რადიოვიზიის ფორმატში)
6. აკვარიუმი - ინტერაქტიული პროექტი;
7. არტ-ექსპერტი -კულტურის შესახებ.
8. მთავარი აჭარაში - პოლიტიკური;
9. კვირის მთავარი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური.
10. თვითმართველობის მიმართულებით - საზოგადოებრივ-პოლიტიკური (27 თებერვლიდან)
11. სათქმელი - სოციალურ-პოლიტიკური (7 მარტიდან)

პროექტების შინაარსობრივი და ვიზუალური განახლება:

- აკვარიუმი - გადის ეთერში ახალი სტუდიიდან, რომელიც მდებარეობს რადიოში. სტუდია მეტად შეესაბამება გადაცემის ფორმატს, ვინაიდან წამყვანი უშუალოდ ეკონტაქტება მაყურებელს;

- არტ-ექსპერტი -კულტურის შესახებ. პროექტი 2019 წ. განახლდა და ეთერში გავიდა პირდაპირი ფორმატით, რაც აძლევს გადაცემას მსჯელობის ფართო სპექტრს და ხდის ეფექტურს.

დოკუმენტური ფილმი:

- „ისევ და ისევ“ (Abba);
- დოკ.ფილმი „შუა ჭანეთი“.

გარე წარმოება:

- საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი „მრავალკუთხედი აჭარაში“ (1 ფილმი გავიდა ეთერში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 12 ფილმი).

## ➡ არჩევნები 2018

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისა და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, მაუწყებლების მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, "საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია" ატარებდა. მონიტორები აკვირდებოდნენ მაუწყებლის საუკეთესო დროს (პრაიმ-ტაიმში) გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოკ-შოუებს. ანგარიში, რომელიც აერთიანებს 2016-2018 წლებში ჩატარებული კლევების შედეგებს 13 დეკემბერს გამოქვეყნდა. ტელესივრცის ცვლილება მკვეთრი პოლარიზაციისკენ, გაუარესებული სადისკუსიო სივრცე, სიღრმისეული მასალების ნაკლებობა, მომატებული შეურაცმყოფელი გამოთქმები-ეს არასრული ჩამონათვალია იმ ტენდეციებისა, რაც ბოლო სამი წლის წინაასარჩევნო მედიამონიტორინგმა აჩვენა. ერთადერთი დადებითი, რაც ამავე ანგარიშის მიხედვით, ბოლო სამ წელიწადში წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქებაში შეიმჩნევა, სიძულვილის ენის შემცირებაა- ნათქვამია კვლევაში.

როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, საპირისპირო ტენდეცია გამოიკვეთა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაში. არხი განსაკუთრებულად მიუკერძოებელ მაუწყებლად ჩამოყალიბდა, თუმცა მოვლენების სიღრმისეულად გაშუქება პრობლემად დარჩა.

ამ პოლარიზებულ გარემოში მიუკერძოებელი სივრცის დაკავებას ცდილობს "ტვ პირველი". მის ეთერში არ შიმჩნეოდა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის ტენდეციურად გაშუქება"-წერია ანგარიშში.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ წარმოებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ გარკვეული მედია საშუალებები წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას ძირითად აქცენტს მთავარ საარჩევნო სუბიექტებზე აკეთებდნენ. იმ დროს, როდესაც აჭარის ტელევიზიამ წინასარჩევნო კამპანია დაბალანსებულად გააშუქა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სხვა პარტიებთან შედარებით მეტი დრო მმართველ პარტიას „ქართულ ოცნებას" დაუთმო. ამას გარდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებები ზოგადად კრიტიკული და ანალიტიკური მასალების ნაკლებობით გამოირჩეოდა. ყველაზე პოპულარული კერძო მაუწყებლების „იმედისა" და „რუსთავი 2"-ის მიდგომა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმართ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაშინ, როდესაც „რუსთავი 2" ხშირად აკრიტიკებდა „ქართულ ოცნებას" საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მერობის კანდიდატების სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული დებატების სერია გადასცა ეთერში. წამყვანი არხების „იმედის" და „რუსთავი 2-ის" მიერ მოწყობილ დებატებში ყველაზე პოპულარული პარტიების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა („იმედი" – 7 პარტია და „რუსთავი 2" – 5 პარტია). თუმცა საარჩევნო კოდექსი მაუწყებლებს ავალდებულებს დებატების მოწყობას ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით.

1. ეუთო 2017 წელი (გვ. 18) http://cesko.ge/res/docs/OSCEODIHRpreliminary2017GEO.pdf

2. ეუთო 2018 წელი http://netgazeti.ge/news/344633/?fbclid=IwAR2P5LoDbD0OLo-lTNvUks8lVJ2AlZn31i2pouplDxfhv-mPx_5Rf28eR8s

3. UNDP 3 წლიანი http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/tvangarishebi/2016-2018_Media_Monitoring_Report_GEO-1_2016-2018-1.pdf

4. მედიამონიტორინგის ანგარიშები ყველა http://mediamonitor.ge/index.php?m=3

5. TI https://www.transparency.ge/ge/category/tags/acharis-televizia

6. human right watch https://www.hrw.org/ka/world-report/2018/country-chapters/313737

# 5. დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

1. დამოუკიდებელი პროგრამების შესაძენად გამოყოფილი იყო 648762 ლარი.
- კლასიკური ფილმების გახმოვანება - 17010 ლარი;
- ფილმები (მხატვრული, დოკუმენტური, სერიალი, ანიმაცია) – 569847 ლარი;
- ქართული მხატვრული ფილმი - 61905 ლარი.

აქედან 298500 ლარის ღირებულების პროდუქცია შეძენილი იქნა ტენდერით.

2. გარე წარმოება - 73731 ლარი.

- **რადიო 12782 ლ.**

- მუსიკალური ნაწარმოებები - 2926 ლარი;
- ,,ჯეომედია'' (გასართობი გადაცემა) – 4999.90 ლარი;
- ,,ჯიბითაიმს ჯორჯია'' (ალტერნატიული მუსიკა) – 4956 ლარი.

**- ტელევიზია 60949 ლარი.**

- სტუდია ,,რეკი'' (საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი) – 28 000 ლარი;
- სტუდია ,,კრეატივი'' (ტელესპექტაკლები) – 33 000 ლარი.

3. მუსიკალური ფონი - 42.894 ლარი (ტელევიზია, რადიო)

# 6. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების ძირითადი მიგნებები

- აჭარის რეგიონში 18 წლის და ზემოთ რესპონდენტები გამოიკითხნენ, როგორც ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ტერიტორიაზე. გამოკითხულთა მესამედზე მეტი (35.8%) ახალგაზრდა თაობას, ოდნავ მეტი (37.7%) – საშუალო თაობას, ხოლო დაახლეობით მეოთხედი – 26.4% - უფროს თაობას მიეკუთვნება;
- გამოკითხვა აჩვენებს, რომ აჭარის ტელევიზიის სრულწლოვანი მომხმარებლების **განათლების დონე,** ძირითადად, უმაღლესი და სრული საშუალო განათლების მფლობელებით
- გამოკითხულთა თითქმის ნახევარი 47.9% უმუშევარია, მეოთხედი – კერძო სექტორში, ხოლო 11.7% – დაქირავებით საჯარო სექტორშია დასაქმებული. საბოლოო ჯამში, მათი რაოდენობა, ვინც ამჟამად დასაქმებულია 47.4% შეადგენს. აღსანიშნავია, რომ უმუშევართა რაოდენობა დანარჩენ აჭარაში მეტია, ვიდრე ქალაქ ბათუმში. აგრეთვე ბათუმში კერძო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა მეტია, ვიდრე დანარჩენ აჭარაში;
- აღმსარებლობის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა მართლმადიდებელ ქრისტიანს მიაკუთვნებს საკუთარ თავს. მუსლიმთა ხვედრითი წილი 30.2%-ს შეადგენს, ხოლო მათი პროცენტული მაჩვენებელი, ვინც არ არის რომელიმე რელიგიის წარმომადგენელი, საკმაოდ დაბალია - 2,5%. ბათუმში მართლმადიდებლების რიცხვი მეტია, ვიდრე დანარჩენ აჭარაში;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირეა აჭარაში იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც თითქმის არ უყურებს აჭარის ტელევიზიას (6.9%). აღმოჩნდა, რომ ბათუმის გარდა სხვა დასახლებებში უფრო ხშირად უყურებენ აჭარის ტელევიზიას, ვიდრე თავად ბათუმში. ახალგაზრდები უფრო იშვიათად ადევნებენ თვალს აჭარის ტელევიზიას, ვიდრე უფროსები;

- საშუალოდ, სამუშაო დღეებში, რესპონდენტები (Mean) დაახლოებით 3.8 საათი ატარებენ დროს ტელევიზორთან, ხოლო არასამუშაო დღეებში - 4.81 საათი. გამოკითხულთა ნახევარზე მეტის (55.6%) თქმით, ისინი სამუშაო დღეებში ძირითადად საღამოს საათებში უყურებენ ტელეარხებს, ხოლო მათმა 29.4%-მა თქვა, რომ არა განსაზღვრულ საათებში (უსისტემოდ) ადევნებენ თვალს ტელევიზორს;
- გამოიკვეთა აჭარის რეგიონში ყველაზე ხშირად ყურებადი სამი სატელევიზიო არხი: იმედი (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 65.9%), რუსთავი 2 (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 50.6%) და აჭარის ტელევიზია (ყოველდღე რამდენიმე საათი მაინც უყურებს 35.9%);
- ყველაზე არაყურებად არხებს შორის გამოიკვეთა: ა) მე-2 არხი (თითქმის არ უყურებს 54.1%); ბ) კავკასია (თითქმის არ უყურებს 52.8%); გ) ობიექტივი (თითქმის არ უყურებს 51.1%); დ) იბერია (თითქმის არ უყურებს 50.3%); ე) ერთსულოვნება (თითქმის არ უყურებს 50.5%);
- რესპონდენტთა მოწონებას ყველაზე მეტად სწორედ ის არხები იმსახურებენ, რომლებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ეს არხებია: აჭარის ტელევიზია (მოწონების საშუალო მაჩვენებელია (Mean) - 3.62, 4 ქულიან სკალაზე: 1- „არ მომწონს“, 4 – „მომწონს“) იმედი (მოწონების საშუალო მაჩვენებელია (Mean) - 3.59) რუსთავი 2 (მოწონების საშუალო მაჩვენებელია (Mean) - 3.33);
- რესპონდენტების პასუხების მიხედვით, აჭარის ტელევიზიის შეფასების ოთხივე პარამეტრის სიდიდე დაახლოებით ერთნაირია: ობიექტურობა (Mean) - 4.2, საინტერესოობა (Mean) – 4.43, სანდოობა (Mean) – 4.38 და პროფესიონალიზმი (Mean) – 4.47. თუმცა იკვეთება ტენდენცია, რომ აჭარის ტელევიზიის შეფასებისას ბათუმში გამოკითხული რესპონდენტები უფრო კრიტიკულები არიან, ვიდრე ბათუმის გარეთ გამოკითხულები;
- აჭარის რეგიონში ყველაზე უფრო ხშირად უყურებენ შემდეგ საინფორმაციო გადაცემებს: „ქრონიკა“ (ტელეკომპანია „იმედი“) - 56,7%, „კურიერი“ (ტელეკომპანია „რუსთავი 2“) - 45,4%, „მთავარი“ (“აჭარის ტელევიზია”) – 44,8%;
- გადაცემა "მთავარს" ყოველდღე, რამდენიმე საათი მაინც, გამოკითხულთა 44,8% უყურებს, კვირაში რამდენიმე დღე მაინც - გამოკითხულთა 30,4%, ხოლო თითქმის არ უყურებს გამოკითხულთა მხოლოდ 5,3%. ქ. ბათუმში ყოველდღე დღეში რამდენიმე საათით მაინც რესპონდენტთა 39,5% უყურებს, მაშინ, როცა აჭარის მუნიციპალიტეტებში ეს მაჩვენებლი 10%-ით მაღალია (49,7%). რაც შეეხება ასაკობრივ ჭრილს, ზოგადი ტენდენცია აქაც ნარჩუნდება და შესაბამისად, გამოკითხული საშუალო (36-55) (47,1%) და უფროსი (56-ზემოთ) (58,5%) რესპონდენტები უფრო ხშირად უყურებენ „მთავარს“, ვიდრე ახალგაზრდები (18-35) (32,1%);
- რესპონდენტთა დადებით შეფასებას ყველაზე მეტად სწორედ ის საინფორმაციო გადაცემები იმსახურებენ, რომლებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს (შეფასება მოხდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „უარყოფითად“, ხოლო 5 – „დადებითად“): "მთავარი" (აჭარის ტელევიზია) - შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) - 4,50; "ქრონიკა" (იმედი) – შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) - 4,33; "კურიერი" (რუსთავი 2) – შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) - 4,06; "მაცნე" (25-ე არხი) – შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) - 3,99;
- შეფასების უარყოფით ველში არც ერთი საინფორმაციო გადაცემა არ მოხვდა, თუმცა შეფასების შედარებით დაბალი (3-თან მიახლოებული) მაჩვენებლები მიიღეს შემდეგმა საინფორმაციო გამოშვებებმა: "პოლიტმეტრი" (ტვ პირველი); “ახალი ამბები“ (მაესტრო); „ნიუსი“ (ტვ პირველი); „ახალი ამბები“ (იბერია); „დღეს“ (კავკასია);

- რესპონდენტების მიხედვით, აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება "მთავარს" ბათუმის გარეთ შეფასების უფრო კარგი საშუალო მაჩვენებელი აქვს (Mean=4,70), ვიდრე ბათუმში (Mean=4,30). კვლევის მონაწილეებს მოსწონთ "მთავარის" წამყვანები შემდეგი თანმიმდევრობით (მოწონების ხარისხი განისაზღვრა 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „არ მომწონს", ხოლო 5 – „მომწონს"): ქეთევან ჭყონია - Mean = 4,44; თეონა ბაკურიძე - Mean = 4,38; ირინა ყურუა - Mean = 4,38; თეონა თურმანიძე - Mean = 4,35; სოფიკო ხელაძე - Mean = 4,25; თამილა სურმანიძე - Mean = 4,24; გიორგი აბაზაძე - Mean = 4,22; ლაშა ზარგინავა - Mean = 4,22; მარიტა ნამგალაძე - Mean = 4,20;
- სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებს შორის გამოიკვეთა გადაცემები, რომლებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ესენია: ტელეკომპანია რუსთავი 2-ის თოქ-შოუ „არჩევანი"; აჭარის ტელევიზიის „მთავარი აჭარაში"; ტელეკომპანია რუსთავი 2-ის თოქ-შოუ „კვირის აქცენტები"; აჭარის ტელევიზიის თოქ-შოუ „კვირის მთავარი";
- თოქ-შოუ „მთავარს აჭარაში" რეგულარულად უყურებს 16,6%, ხოლო თითქმის არ უყურებს 19,4%. აღნიშნულ თოქ-შოუს კვლევის მონაწილეებიდან უფრო მეტი მაყურებელი ბათუმის გარდა, დანარჩენ აჭარაში (18,7%) ჰყავს, ვიდრე თავად ბათუმში (14,5%). „მთავარს აჭარაში" რეგულარულად უყურებს უფროსი თაობის რესპონდენტთა უფრო მეტი წარმომადგენელი, ვიდრე ახალგაზრდები;
- თოქ-შოუ "კვირის მთავარს" რეგულარულად უყურებს გამოკითხულთა 14,3%, ხოლო თითქმის არ უყურებს 27,1%. რაც შეეხება ბათუმსა და დანარჩენ აჭარას, აქაც ვლინდება ნახსენები ტენდენცია და მას ბათუმში (10,8% ) უფრო ნაკლები მაყურებელი ჰყავს, ვიდრე ბათუმის გარეთ (17,7%). ასაკობრივი ჭრილის მიხედვით, ტენდენცია აქაც ნარჩუნდება და თოქ-შოუ "კვირის მთავარს" გამოკითხული უფროსი თაობის უფრო მეტი რესპონდენტი უყურებს, მაშინ, როცა ახალგაზრდებში (18-35) ეს მაჩვენებელი დაბალია (9,8%).
- აჭარის რეგიონში სამი ყველაზე მაღალ რეიტინგული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემაა: „მთავარი აჭარაში", „კვირის მთავარი" და „არჩევანი". ამ სამ გადაცემას რესპონდენტების დიდი ნაწილი აფასებს შეფასების მაქსიმალური ქულით. ასევე, გამოიკვეთა სამი გადაცემა, რომელსაც რესპონდენტების ნაწილი (7-10%) შეფასების უარყოფით ველში აქცევს: „არჩევანი", „რეალური სივრცე", „აქტუალური თემა";
- სტატისტიკურმა ანალიზმა სანდო მიმართებები გამოავლინა როგორც რესპონდენტების საცხოვრებელი ლოკაციების, ასევე მათი ასაკის და მათ მიერ გადაცემების შეფასებას შორის. ცენტრალური ტენდენციების მიხედვით აჭარის მუნიციპალიტეტებში (ბათუმის გარდა) რესპონდენტების მიერ გაკეთებული შეფასებებით ყველა გადაცემა მოექცა შეფასების როგორც უარყოფით, ასევე დადებით ველში. ბათუმში გამოკითხულთა მიერ ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული გადაცემებია: „მთავარი აჭარაში" - აჭარის ტელევიზია (ლაშა ზარგინავა) MEAN=4.29; „კვირის მთავარი" - აჭარის ტელევიზია (ლაშა ზარგინავა) MEAN=4.18; „ახალი სივრცე" - აჭარის ტელევიაზია (ირინა ყურუა) MEAN=4.16;
- კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აჭარაში გამოკითხულთა დიდი ნაწილი 40-45% თითქმის არასდროს უყურებს არაპოლიტიკური თოქ-შოუების, გადაცემების უმრავლესობას. ყურებადობის თვალსაზრისით, ლიდერია გადაცემა „ერთი დღე სოფელში" (ნათია თავდგირიძე), რომელსაც თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი (49.5%) რეგულარულად უყურებს;

- რესპონდენტები ყველაზე დადებითად აფასებენ იმ გადაცემებს, რომლებსაც რეგულარულად უყურებენ. კერძოდ, მაქსიმალური დადებითი შეფასება (ქულა 5) ყველაზე ხშირად დაიმსახურა ყველაზე რეიტინგულმა გადაცემებმა: „ერთი დღე სოფელში“ (5 ქულით აფასებს 80.1%); „დილის ტალღა“ (5 ქულით აფასებს 61.6%); „მე ვარ ფერმერი“ (5 ქულით აფასებს 57.9);
- რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (10-12%) ფიქრობს, რომ აჭარის ტელევიზიას ყველაზე მეტად აკლია საგანმანათლებლო-შემეცნებით, საბავშვო და ჯანმრთელობის საკითხებზე გადაცემები. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტების მიერ აჭარის ტელევიზიისთვის ყველაზე საჭირო/აუცილებელი გადაცემების დასახელება სტატისტიკურად სანდო მიმართებაშია, როგორც მათ ასაკთან (*$X^2(44)= 100,240$ $p<0.05$*), ასევე საცხოვრებელ ლოკაციებთან (*$X^2(22)= 76,171$ $p<0.05$*);
- აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (90%–მდე) პირველ რიგში ადგილობრივი, ქართული პროდუქციის ნახვას ისურვებდა აჭარის ტელევიზიით. რესპონდენტთა 56.6% ისურვებდა, რომ მეორე რიგში რუსეთის მიერ წამროებული პროდუქცია ენახათ აჭარის ტელევიზიით, ხოლო მესამე რიგში – აშშ-ს მიერ წარმოებული პროდუქცია (48.4%);
- ასაკობრივ ჭრილში მონაცემთა გაანალიზებისას, გამოვლინდა განსხვავებები. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ახალაგაზრდების (18-35 ასაკობრივი ჯგუფი) ნახევარზე ნაკლებს (48.6%) სურს მეორე რიგში იხილონ რუსეთის მიერ წარმოებული პროდუქცია აჭარის ტელევიზიით, მაშინ, როცა დანარჩენი ორ ასაკობრივ ჯგუფში (36-55 და 56 +) ნახევარზე მეტს სურს მეორე რიგში რუსული წარმოების პროდუქციის ხილვა აჭარის ტელევიზიით (შესაბამისად, 57.3% და 66.0%);
- რესპონდენტების ნახევარზე ნაკლებს - 43.9% – ურჩევნია თოქ-შოუ იყოს ისეთი ფორმატის, სადაც სტუდიაში ბევრი ხალხი იქნება. გამოკითხულთაგან დაახლოებით მეხუთედი უპირატესობას ანიჭებს ისეთ სატელევიზიო ფორმატს, სადაც სტუდიაში ერთი-ერთზეა წამყვანი და სტუმარი. გამოკითხული რესპონდენტების დამოკიდებულებები არ განსხვავდება ქ. ბათუმის და დანარჩენი აჭარის მოსახლეობის ჭრილში;
- კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (75.9%) მიიჩნევს, რომ *„აჭარის ტელევიზია დამოუკიდებელი ტელევიზიაა, რომელიც ობიექტურად აშუქებს და აფასებს ქვეყანაში და აჭარაში მიმდინარე პროცესებს და არ არის ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი“*. ბათუმში ამ მოსაზრებას 64.5%, ხოლო დანარჩენ აჭარაში - 86.9% აფიქსირებს. შესაბამისად, ბათუმში მეტია ისეთ ადამიანთა რიცხვი (18.6%), რომელიც ფიქრობს, რომ *„აჭარის ტელევიზია ვერ ახერხებს იყოს ქვეყანაში და აჭარაში მიმდინარე პროცესების ობიექტური გამშუქებელი, რადგან ხელისუფლების ინტერესების გამტარებელია“*.
- გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (79.2%) იზიარებს მოსაზრებას, რომ აჭარის ტელევიზია გამოხატავს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს, ეხმაურება მათ საჭიროებებს და პრობლემებს. საპირისპირო პოზიციაზეა რესპონდენტთა დაახლოებით 12% – მათი მოსაზრებით, აჭარის ტელევიზია კომერციულ სარგებელზეა ორიენტირებული, არ ცდილობს გამოხატოს რეგიონში არსებული სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები, ასახოს მათი საჭიროებები და პრობლემები;
- რესპონდენტებში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიო გადაცემები მნიშვნელოვნად ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე ტელეგადაცემები. ყველა რადიო გადაცემასთან მიმართებით დომინანტური იყო პასუხი, რომლის მიხედვითაც რესპონდენტებს გადაცემების შესახებ ან არ სმენიათ, ან თითქმის არ უსმენენ;

______**შერჩევის ზომა:** 600 ინტერვიუ.
**შერჩევის ბაზა:** საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა.
**ინტერვიუების რაოდენობა** წარმოდგენილია ცხრილში N1:

ცხრილი N1

| მუნიციპალიტეტი | ინტერვიუ | შერჩევის ცდომილება (95%-იანი საიმედოობით) |
|---|---|---|
| ბათუმი | 300 | **5.7 %** |
| ხელვაჩაური | 80 | **5.7 %** |
| ქედა | 30 | |
| შუახევი | 30 | |
| ხულო | 40 | |
| ქობულეთი | 120 | |
| სულ გამოიკითხა | **600** | **4 %** |

## აჭარის ტელევიზიის სარეიტინგო მონაცემები და ანალიზი

აღნიშნული კვლევა ჩატარებულია მრჩეველთა საბჭოს მოთხოვნით და მოიცავს აჭარის ტელევიზიის (არამარტო) სარეიტინგო სხვადასხვა მონაცემს. კვლევის პერიოდს წარმოადგენს 2016-2018 წელი, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 2018 წლის მონაცემებზე. კვლევის ინსტრუმენტია მრჩეველთა საბჭოს მიერ შესყიდული მთვლელი კომპანიის კანტარ მედიის კომპიუტერული მაგენერირებელი პროგრამა Instar Analytics.

კვლევაში გამოყენებულ შეფასების კრიტერიუმთა (ცვლადების) განმარტებანი:

| ცვლადი | განმარტება |
|---|---|
| პოზიცია | კანტარ მედიის მიერ გამოკვლეულ სატელევიზიო არხებს შორის რიგობითი ადგილი ქართულ სატელევიზიო სივრცეში. |
| Rtg(000) | მაყურებელთა საშუალო რაოდენობა წუთში |
| Rtg% | მთლიანი პოპულაციიდან მაყურებელთა პროცენტული მაჩვენებელი |
| Shr% | სატელევიზიო არხისა ან გადაცემის ყურებადობის წილი მოცემულ პერიოდისათვის (ჩართული ტელევიზორების რა ნაწილმა უყურაარხს/გადაცემას) |

კვლევის მონაცემების მიხედვით, აჭარის ტელევიზიას 2018 წელს **Rtg(000)-უფიქსირდება 1417**, **პოზიცია - მე-16, rtg%-0,1**, **Share – 0,5.**




აღნიშნულ გრაფიკში წარმოდგენილია აჭარის ტელევიზიის ზოგადი მაჩვენებლები 2016-2018 წლებში და შეფასებულია ორი ცვლადით - rtg(000) და პოზიციით. 2016 წელს rtg(000) - ანუ საშუალოდ წუთში აჭარის ტელევიზიას უყურებდა 2765 ადამიანი, 2017 წელს - 1625 მაყურებელი, ხოლო 2018 წელს - 1417 მაყურებელი. 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით წუთში საშუალო ყურებადობამ 51.24%-ით დაიკლო. 2016 წლიდან 2018 წლამდე არხმა მე-8 პოზიციიდან მე-16 პოზიციაზე გადაინაცვლა, ორჯერ გაუარესდა.




აჭარის ტელევიზიის საბაზრო წილი (share-მაყურებლის ხვედრითი წილი ჩართულ ტელევიზორებში) 2016 წლიდან 2018 წლამდე 0,4-ერთეულით დაიკლო და აჭარის ტელევიზიის საბაზრო წილმა 2018 წელს 0,5% შეადგინა. 2016 წელს აჭარის ტელევიზიას საქართველოს მოსახლეობის 0,2%, ხოლო 2018 წელს - 0,1% უყურებდა, ანუ rtg%-ცვლადში აჭარის ტელევიზიის მონაცემი 50%-ით გაუარესდა.




უშუალოდ 2018 წლის თვიური ჩაშლილი მონაცემების მიხედვით, აჭარის ტელევიზიას მაქსიმალური ყურებადობა უფიქსირდებოდა იანვრის თვეში - rtg(000) – 1892 მაყურებელი, ხოლო მინიმალური ივლისში - rtg(000) – 1098 მაყურებელი. პოზიციების მიხედვით, მაქსიმალურ წერტილს აჭარის ტელევიზიამ ივნისში მიაღწია და მე-14 პოზიცია დაიჭირა, ხოლო მინიმალური თებერვალში, აპრილში, სექტემბერსა და ოქტომბერში - მე-18 პოზიცია.




სატელევიზიო წილის მიხედვით, აჭარის ტელევიზიამ მაქსიმალური შედეგი აგვისტოში, 0,7% დააფიქსირა, ხოლო მინიმალური ივლისსა და ოქტომბერში 0,4%. მთელი 2018 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0,1% უყურებდა აჭარის ტელევიზიას.




(მონაცემები მოცემულია rtg(000) ცვლადის მიხედვით)

2016 წლის მონაცემების მიხედვით, აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა 64% რეგიონებში ცხოვრობდა (თბილისში 36%), 2017 წელს აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა 53%-ზე მეტი რეგიონებში ცხოვრობდა (თბილისში 47%), ხოლო 2018 წელს თბილისში მცხოვრებთა ყურებადობამ გადააჭარბა რეგიონებში მცხოვრებთა ყურებადობას. საერთო ჯამში, 2016 წლიდან 2018 წლამდე ყურებადობა რაოდენობაში შემცირდა ორივე რეგიონულ სეგმენტში.




2016 წელს ქალთა ყურებადობა მცირედით აღემატებოდა კაცების ყურებადობას აჭარის ტელევიზიასთან მიმართებით, 2017 წელს ანალოგიური მცირედი ერთეულით მეტი იყო კაცთა ყურებადობა, ხოლო 2018 წელს, პრაქტიკულად იდენტურია ორივე ჯგუფის ყურებადობა. აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფის ყურებადობა შემცირებულია 2016წლიდან 2018 წლის ჩათვლით.




- **2016 წლის** ასაკობრივი სეგმენტირების მიხედვით, ყველაზე დიდი სეგმენტი 35-44 ასაკობრივი ჯგუფი იყო, მას მოსდევდა 55-64 წწ ჯგუფი, ხოლო მესამე პოზიციას 25-34 წწ ჯგუფი იკავებდა. ამ უკანასკნელს მცირედით ჩამორჩებოდა 45-54 წწ ჯგუფი.
- უკვე **2017 წელს,** სურათი თანდათან იცვლება, ერთი მხრივ, მცირდება ყველა სეგმენტის ყურებადობა, მეორე მხრივ, დომინანტი ჯგუფი აჭარის ტელევიზიის ყურებადობაში გახდა 55-64 წწ ჯგუფი, მას მოსდევს +65 წ ჯგუფი, მესამე-მეოთხე პოზიციებს კი თანაბრად ინაწილებს.
- **2018 წელსაც** შემცირებულია რაოდენობრივად ყველა სეგმენტი უკლებლივ ერთნაირი პროპორციით და დომინანტი ასაკობრივი ჯგუფები მსგავსი და იდენტურია 2017 წლის მონაცემებისა.




აჭარის ტელევიზიის მაყურებელი „დაბერდა“, რაზეც ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიც მოწმობს, აჭარის ტელევიზიის მაყურებელი 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 4 წლით „დაბერდა“.




უშუალოდ 2018 წელს, აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა 52% თბილისში ცხოვრობს, ხოლო 48%-რეგიონებში.

2018 წელს აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა 20-20% 65+წ და 55-64 წწ ჯგუფებმა დაიკავეს, 45-54 წწ ჯგუფმა - 17%, ხოლო 35-44 წწ ჯგუფმა - 14% შეადგინა.




გენდერული სეგმენტაციის მიხედვით, 2018 წელს აჭარის ტელევიზიას ქალები და კაცები თანაბრად უყურებდნენ.

| გადაცემა | rtg(000) |
|---|---|
| მთავარი 12:00 | 1.317 |
| მთავარი 15:00 | 1.525 |
| მთავარი 18:00 | 2.169 |
| მთავარი 21:00 | 2.255 |
| აკვარიუმი | 0.739 |

| | |
|---|---|
| ანარეკლები | 1.408 |
| არტ-ექსპერტი | 1.024 |
| ბიბლიოთეკა | 0.792 |
| ბუნებისკანონი | 1.589 |
| დილისტალღა | 1.655 |
| ეთნოფორი | 1.903 |
| ერთიდღესოფელში | 2.907 |
| ვემსახურებისაქართველოს | 1.461 |
| თეთრიკვადრატი | 2.089 |
| იმპულსი | 1.558 |
| კვირისმთავარი | 2.149 |
| მევარფერმერი | 2.026 |
| მთავარიაჭარაში | 2.456 |
| მრავალკუთხედიაჭარაში | 1.471 |
| პროექცია | 0.819 |
| რადიოვიზია | 0.474 |
| სპორტკლუბი | 1.389 |
| სცენა | 1.036 |
| უცხოსუნელი | 1.993 |
| ჰეშთეგი | 0.966 |

წარმოდგენილია აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებული გადაცემების სარეიტინგო მონაცემები rtg(000) ცვლადის მიხედვით. 2900-ზე მეტი მაყურებლით „ერთი დღე სოფელში" ცხრილის სათავეშია, მას მოსდევს მთავარი აჭარაში 2456 მაყურებლით, მესამე პოზიციაზე 18:00 საინფორმაციო გამოშვებაა 2100-ზე მეტი მაყურებლით.

## გასვლები ჟანრის მიხედვით - 2018




გასვლების მიხედვით, 2018 წელს ეთერში 33% საინფორმაციო ტიპის გადაცემები განთავსდა, 23%-შემეცნებითი, ხოლო 20% ფილმები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეთერში 12% იყო თოქ-შოუები.

## რეიტინგი SHARE - 2018




აჭარის ტელევიზიის რეიტინგში წილობრივად ყველაზე მაღალია ფილმებისა და სპორტული გადაცემების (სპორტუკლუბი შედის თოკ-შოუების ჟანრში) მაჩვენებლები (18%), მათ მოსდევთ სერიალი 15%-ით, საინფორმაციო და გასართობი ჟანრი წილობრივად იდენტურ მაჩვენებელს 11%-ს იჭერენ აჭარის ტელევიზიის რეიტინგში.




აღნიშნული ჩარტი ფაქტობრივად აერთიანებს წინა ორ გრაფიკს.

შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება.

### რუსთავი 2 - ჟანრის კვლევა - 2018წ



ჟანრის გასვლების მიხედვით, რუსთავი 2-ზე ლიდერობს „საინფორმაციო“ ჟანრი, მას მოსდევს „სერიალი“, ხოლო მესამე პოზიციაზე „ფილმები“ განთავსდა. რუსთავი 2-ის ეთერში 2018 წელს ჯამურად 9765 ერთეული პროგრამის განთავსება ფიქსირდება.




ყველაზე ყურებადი ჟანრი 2018 წლის განმავლობაში გახლდათ „სხვა“, თუმცა ეს მხედველობაში არ შეიძლება მივიღოთ, რადგანაც როგორც წინა ჩარტიდან ჩანს, ამ ჟანრის ქვეშ მხოლოდ 1 გადაცემა გავიდა, შესაბამისად, ერთეულოვანი მაჩვენებელი ვერ მოგვცემს განზოგადების შესაძლებლობას. შესაბამისად, ყველაზე ყურებადი ჟანრი რუსთავი 2ზე გახლავთ „გასართობი“, მას მოსდევს „საინფორმაციო“ ჟანრი და სამეულს „თოქ-შოუ“ ასრულებს. აღსანიშნავია, რომ თოქ-შოუს ჟანრი გასვლების მიხედვით მეოთხე პოზიციაზე რუსთავი 2-ის ბადეში.

## იმედი - ჟანრის კვლევა - 2018წ




გასვლების მიხედვით, ტელეკომპანია იმედზე რუსთავი 2-ის ანალოგიური მაჩვენებელი ფიქსირდება. პირველ პოზიციაზეა „საინფორმაციო“, მეორეზე - „სერიალი“, ხოლო მესამე პოზიციაზე „ფილმები“ თავსდება. 2018 წლის განმავლობაში ჯამში იმედის ეთერში 9077 პროგრამის განთავსება ფიქსირდება.




განსხვავებული მაჩვენებელია ჟანრის ყურებადობის მიმართულებით. პირველ პოზიციაზე 30,4%ით (საერთო სატელევიზიო ბაზარზე ჩართულ ტელევიზორებში მოპოვებული რეიტინგი) „სპორტის" ჟანრია პირველზე, მეორეზე „სერიალი", ხოლო მესამე პოზიციას ინაწილებენ „საინფორმაციო" და „გასართობი" ჟანრები 25,9%-25,8%ით.

## საზმაუს პირველი არხი - ჟანრის კვლევა - 2018წ




გასვლების მიხედვით, საზმაუს ბადეში ლიდერობს „ფილმები", მას მოსდევს „საინფორმაციო", ხოლო მესამე პოზიციაზეა „სერიალი". საზმაუს ეთერში 2018 წლის განმავლობაში ფიქსირდება ჯამში 11075 პროგრამის განთავსება.




რეიტინგის მიხედვით, 2018 წელს საზმაუს ეთერში ყველაზე მეტი შედეგი „სპორტის“ ჟანრმა მიიღო, მას მოსდევს ჟანრი „სხვა“, რომლის ჯამური გასლვების რაოდენობა 2018 წლის განმავლობაში 15 ერთეულია. მესამე პოზიციაზე „ფილმები ფიქსირდება, ხოლო მეოთხე პოზიციაზეა „გართობა“. მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა ჟანრი „საინფორმაციო“.

## ტვპირველი - ჟანრის კვლევა - 2018წ




2018 წელს ტვ პირველი ეთერში გასვლების მიხედვით ჟანრი „ფილმები“ ლიდერობს, მას მოსდევს „საინფორმაციო“, ხოლო მესამე პოზიციას „თოქ-შოუ“ იკავებს. 2018 წლის განმავლობაში ჯამში 7544 პროგრამა იყო განთავსებული.




2018 წელს ტვპირველის ეთერში ყველაზე ყურებადი ჟანრი გახლდათ „სხვა“, წლის განმავლობაში ჯამურად 18 გასვლით. მას მოსდევს „ფილმები“, შემდეგ „თოქ-შოუ“, ხოლო შემდეგ პოზიციაზე „საინფორმაციოს“ ჟანრი განთავსდა.

# 7. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

1) მოსარჩელე მ.ბ.

მოპასუხე: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო’’.

დავის საგანი: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო’’-ს დირექტორის 2017 წლის 06 ოქტომბრის N02-05/47 ბრძანების სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო’’-ს იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსთან მ.ბ-სთან შრომითი ურთიერთობის შესახებ’’ ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა (ან ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფა) და ამით გამოწვეული ნაცდური შრომის ანაზღაურების სრული ოდენობით მიღება.

სარჩელი არ დაკმაყოფილდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით, თუმცა გადაწყვეტილება ამ დრომდე არ ჩაგვბარებია.

2) მოსარჩელე: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო’’

მოპასუხე: შპს ,,ბურჯი ინვესტი’’

დავის საგანი: თანხის დაკისრება (საფუძველი: 2014 წლის 01 ოქტომბრის N23 მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების, (სპონსორობის თანხის გადაუხდელობა) შეუსრულებლობა) 4425.71 ლარის ოდენობით, ასევე გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მაუწყებლის სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

3) მოსარჩელე: ი.ბ.

მოპასუხე: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''

დავის საგანი: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს'' დირექტორის 2017 წლის 23 მარტის N02-05/16 ბრძანების სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''-ს მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების შესახებ ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. დირექტორის მიერ მოსარჩელის მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფა.

სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, მაუწყებელს დაევალა მოსარჩელის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, თუმცა უარი ეთქვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე. ასევე არ დაკმაყოფილდა სარჩელი მოპასუხე - მაუწყებლის დირექტორის მიერ გაკეთებული განცხადებების მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე შეფასებული ცილისწამებად და საქმიანი რეპუტაციის შელახვად.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

ი.ბ-ს მიერ ასევე წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 20 მარტის განჩინებით, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ასევე ი.ბ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება.

4. მოსარჩელე: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''

მოპასუხე: შპს ,,გრინ ლაით სტუდიო პროდაქშენ''

დავის საგანი: თანხის დაკისრება 5157,14 (ხუთი ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს დაკისრება.

(საფუძველი: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს და შპს ,,გრინ ლაით სტუდიო პროდაქშენს'' შორის 2014 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N24 ხელშეკრულება (სპონსორობის შესახებ))

საქმეზე არ არის გამოტანილი გადაწყვეტილება.

5. მოსარჩელე: გ.ჩ.

მოპასუხე: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''

დავის საგანი: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს N02-09/147 ბრძანების სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს სატელევიზიო მაუწყებლობის სამსახურის გაყიდვებისა და დონორების მოზიდვის მენეჯერის მიმართ დისციპლინარული სანქციის გამოყენების შესახებ'' ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენამდე.

**თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ**

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''-შინ 2018 წლის 21 სექტემბერს შემოვიდა დავით მიქელაძის N02-24/354 განცხადება, რომლითაც ის აცხადებს, რომ აჭარის ტელევიზიით, მასზე გავრცელდა დეზინფორმაცია და ითხოვს შეცდომის გასწორებას და ობიექტური, გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას. სიუჟეტი ეთერში გავიდა 18:00 საათიან გამოშვებაში და ეხებოდა ხელვაჩაურის მერის ჯუმბერ ვარდმანიძის საკადრო პოლიტიკას.

მაუწყებლის თვითრეგულირების ფარგლებში შექმნილმა კომისიამ (ბრძანება N02/03/34 25/09/2018) განიხილა ზემოაღნიშნული განცხადება და 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა ჟურნალისტის მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა - მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფრომაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე.

კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდათ დაინტერესებულ პირებს კანონით დადგენილ ვადაში.

კომისიის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა არც ერთი მხარის მიერ.

# 8. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ

2018 წლის განმავლობაში საჯარო განხილვები და მოქალაქეთა წინადადებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

# 9. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო''-ს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება 2018 წლის განმავლობაში არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

## შრომითი რესურსების მართვა

- **2018 წლის განმავლობაში პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად მაუწყებლის 90-**ზე მეტი თანამშრომელი დაესწრო სხვადასხვა სასწავლო ტრენინგსა და სემინარს.

- 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა 23 ახალი თანამშრომლის აყვანა მაუწყებელში, მათ შორის 13 კონკურსით, ხოლო 10 კონკურსის გარეშე.

- მაუწყებელმა 17 თანამშრომელთან შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა, მათ შორის:
10 თანამშრომელთან მათივე განცხადებით, ოთხ თანამშრომელთან ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო, 2 თანამშრომელთან გარდაცვალების, ხოლო 1 თანამშრომელთან დისციპლინური გადაცდომის გამო.

- 2018 წლის განმავლობაში მაუწყებელმა 13 დისციპლინური წარმოების საქმეზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, კერძოდ: 10 დასაქმებულს გამოეცხადა საყვედური, 1 დასაქმებულს გამოეცხადა გაფრთხილება, ხოლო ორი დასაქმებულის მიმართ გამოყენებული იქნა შრომის ანაზღაურების დაქვითვა.

პრობლემებია მაუწყებელში შრომითი პროცესების მართვის კუთხით, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია სამართლიანი სახელფასო ანაზღაურების სისტემა. **საკითხი კვლავ რჩება დღის წესრიგში.**

# 10. მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

### ა) ზოგადი ინფორმაცია :

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 35[12] -ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცება.

### ბ) 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტის აღწერა და მიზანი:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისი სატელევიზიო და რადიო პროგრამების მომზადება/შესყიდვა და ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო არხით ტრანსლირება საქართველოს ტერიტორიაზე. ტელემაყურებელთა და რადიო მსმენელთათვის ობიექტური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება, აჭარის რეგიონში, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და სხვა ხასიათის აქტუალური თემების გაშუქება. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ხელშეწყობა;
- მაუწყებელმა ორგანიზება უნდა გაუწიოს სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოებას/შესყიდვას და საეთერო ბადის მიხედვით სატელევიზიო და რადიო ეთერში განთავსებას. კერძოდ, უნდა განახორციელოს ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებების, პერიოდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ შოუებისა და საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წარმოება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გადაღება, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების შეძენა. უზრუნველყოს პროფესიონალური საკადრო რესურსების მოზიდვა, მართვა და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება. უნდა შეიმუშავოს და წარადგინოს წინადადებები მაუწყებლის ბიუჯეტისა და გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილების შესახებ. უზრუნველყოს სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელოს საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, ამ მიზნით სახელმწიფო, კერძო და უცხოურ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები და ურთიერთ თანამშრომლობის სხვა შეთანხმებები.

**გ) წარმოდგენილი პროექტით 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 930 000 ლარით განისაზღვრა, მათ შორის:**

- საბიუჯეტო სახსრები 8 730 000 ლარი;
  *(„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, 2019 წლისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების საბიუჯეტო ასიგნება შეადგენს 58 200 000 ლარს)*
- არასაბიუჯეტო სახსრები 200 000 ლარი.

**დ) წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები დასამტკიცებელი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:**

- **საბიუჯეტო სახსრები:**
  ბიუჯეტის ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 8 730 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 261 915 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 2 687 590 ლარი (30,79%);
  • ახალი ამბები - 1 346 220 ლარი (15,42%);
  • მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 2 448 105 ლარი (28,04%);
  • რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 445 160 ლარი (5,10%);
  • ტექნიკური უზრუნველყოფა - 1 471 320 ლარი (16,85%);
  • სხვა გადასახდელები - 69 690 ლარი (0,80%).

- **არასაბიუჯეტო სახსრები:**
  არასაბიუჯეტო ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 200 000 ლარს, მათ შორის:
  - მრჩეველთა საბჭო - 6 000 ლარი (3,00%);
  - ადმინისტრაცია - 35 370 ლარი (17,68%);
  - ახალი ამბები - 5 000 ლარი (2,50%);
  - მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 119 630 ლარი (59,82%);
  - რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 0,00 ლარი (0,00%);
  - ტექნიკური უზრუნველყოფა - 0,00 ლარი (0,00%);
  - სხვა გადასახდელები - 34 000 ლარი (17,00%).

**ე) 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ინიციატორია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.**

**ვ) 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე და იგი რეალურად ასახავს შესაბამისი წლის ტელევიზიისა და რადიოს საჭიროებებს მოსალოდნელი რესურსების (როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო) ფარგლებში.**

## 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი


97,76
2,24
საბიუჯეტო სახსრები
არასაბიუჯეტო სახსრები

# 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები






# 2018 წლის

# არასაბიუჯეტო სახსრები


60
50
40
30
20
10
0
1,72
6,62
2,01
50,92
2,42
27,18
9,13
2018
მრჩეველთა საბჭო
ადმინისტრაცია
ახალი ამბები
მედიაწარმოება და პროდიუსინგი
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა
ტექნიკური უზრუნველყოფა
სხვა გადასახდელები

# 2018 წლის
# საბიუჯეტო სახსრები



# 11. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები ........................................... 3

2. მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ................................................... 7

3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია ............. 12

4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ .................................................. 21

5. სახელმწიფო შესყიდვები ......................................................................................... 23

6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ....................... 25

## 1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

- ✓ ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ 33-ე, 35$^{12}$-ე და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის შესაბამისად და „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ, მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01-01/03 (ოქმი N3) გადაწყვეტილების შესაბამისად.

- ✓ მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.
- ✓ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის ნათია კაპანაძის მიერ 2017 წლის 22 დეკემბერს N02-19/2783 წერილით წარდგენილი 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2017 წლის 22 დეკემბერის N01-01/21 (ოქმი N18) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2017 წლის 29 დეკემბერის N403 (ოქმი N367) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის ბიუჯეტი.
- ✓ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის ბიუჯეტში განხორციელდა რიგი ცვლილებები და დამტკიცდა კორექტირებული ბიუჯეტი, კერძოდ:

→ 2018 წლის თებერვლის თვეში არასაბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში:

- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის [NED] მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის "სიტყვის თავისუფლების მხარდაჭერა" (საგრანტო ხელშეკრულების #NED Grant No 2017 - 858) ფარგლებში ყოველკვირეული რუბრიკის „ჩემი უფლება"-ს მოსამზადებლად, ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში და რადიოთი (დამოუკიდებელი მასალა) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - ქალთა წინააღმდეგ ძალადობის მონიტორინგის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი" (საგრანტო ხელშეკრულების No:ENI/2016/378-923) მომზადდება საზოგადოებისათვის გასაგები და ვიზუალურად საინტერესო ფორმით ქალთა ძალადობის წინააღმდეგ სოციალური სარეკლამო ვიდეო და აუდიო ტიხარი, ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის ეთერში გადაცემა „ანარეკლები"-ს და გადაცემა „ვილაპარაკოთ" სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოსა" და უცხოური საწარმოს ფილიალი „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების საქართველოს წარმომადგენლობას" შორის გაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში (ტრანსლაციის უფლება), სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოსა" და ა(ა)იპ ფონდი „ღია

საზოგადოება საქართველოს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში.

მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 07 თებერვალს N01-01/01 (ოქმი N2) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 20 თებერვალს N370 (ოქმი N370) გადაწყვეტილებით.

→ 2018 წლის აპრილის თვეში არასაბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში:

- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში“ ფარგლებში, თემის შესაბამისად, ცალკე ან ერთობლივად 10 გადაცემის მოსამზადებლად, ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის ახალი ამბების მთავარ გამოშვებებში ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით “Empowering Regional Journalists for Fact-Based Reporting on Euro-Atlantic Integration” პროექტის (საგრანტო ხელშეკრულების №SGG80017GR0079) ფარგლებში ყოველკვირეულად 4 (ოთხი) ანალიტიკური სიუჟეტის მომზადება გარემოს დაცვის თემაზე, ა(ა)იპ “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“-თან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;

მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 16 აპრილს N01-01/08 (ოქმი N5) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 07 მაისს N416 (ოქმი N379) გადაწყვეტილებით.

→ 2018 წლის მაისი თვეში არასაბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში:

- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის -“ვიაროთერთად/ step together“ ფარგლებში 3 (სამი) ვიდეორგოლის მოსამზადებლად, (ა)აიპ „მიგრაციის ცენტრს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის რადიო გადაცემა „მთვარის კლუბი“-ს ეთერში „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მულტიკულტურული ინტეგრაცია აჭარაში“ ფარგლებში 8 (რვა) გადაცემის მოსამზადებლად, ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;

მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 31 მაისს N01-01/10 (ოქმი N8) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი,

რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 15 ივნისს N418 (ოქმი N3383) გადაწყვეტილებით.

→ 2018 წლის ივნისის თვეში საბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში შევიდა ცვლილება და დაზუსტდა თითოეულ მუხლზე გამოყოფილი თანხის მოცულობა და შესაბამისობაში მოვიდა არსებულ საჭიროებებთან, კერძოდ: თითოეულ მუხლში შრომის ანაზღაურების ოდენობა დაზუსტდა არსებული რესურსების ფარგლებში, მათ შორის განხორციელდა ბიუჯეტის სხვა მუხლებიდან შრომის ანაზღაურების ნაწილში გადმოტანა. შესაბამისად განხორციელდა მაუწყებელში არსებული ფაქტობრივი დეფიციტის აღმოფხვრა და მაუწყებლის წინაშე მდგარი მიმდინარე ამოცანების ეფექტური გადაწყვეტა. მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 11 ივნისის N01-01/14 (ოქმიN14) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 17 აგვისტოს N426 (ოქმი N388) გადაწყვეტილებით.

→ 2018 წლის აგვისტოს თვეში არასაბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში:

- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში ფონდი "საერთაშორისო განათლების ცენტრი""-ს პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობისთვის აჭარაში" ფარგლებში 4 (ოთხი) სატელევიზიო სიუჟეტის (შემეცნებითი, ინფორმაციული) მოსამზადებლად, ა(ა)იპ "საერთაშორისო განათლების ცენტრი"-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის რადიოგადაცემა „გენდერი და არჩევნები"-ს ეთერში პროექტის - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საარჩევნო პროცესების გაძლიერების პროექტის ფარგლებში 4 (ოთხი) რადიო გადაცემის (პირდაპირი ეთერი) მოსამზადებლად, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა "აი ფი ეს/საქართველო"-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის გადაცემა „დილის ტალღა"-ს ეთერში პროექტის - „ძალა ევროპაშია" ფარგლებში 16 (თექვსმეტი) სატელევიზიო სიუჟეტის მოსამზადებლად, ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში პროექტის „ევროპული დღეები აჭარაში", რომელიც მოიცავს 2 მიმართულებას, კერძოდ:

  (1) #ევროპული ღირებულებები-ღირებულებებზე დაფუძნებული 10 (ათი) ამბავი;

  (2) #სოციალური რგოლის მომზადება ტელე/რადიო და პლატფორმისათვის/ ეთერისთვის 2 (ორი) ვიდეორგოლი;

  მოსამზადებლად, "ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში" გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;

მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 10 აგვისტოს N01-01/19 (ოქმი N12) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 17 აგვისტოს N427 (ოქმი N388) გადაწყვეტილებით.

→ 2018 წლის ოქტომბრის თვეში არასაბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში:

- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის [NED] მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის "სიტყვის თავისუფლების მხარდაჭერა" (საგრანტო ხელშეკრულების #NED Grant No 2017 – 858.1) ფარგლებში გადაცემაში „ჩემი უფლება" ყოველკვირეული 14 (თოთხმეტი) რუბრიკის მოსამზადებლად, ა(ა)იპ თავისუფალი ჟურნალისტთა სახლთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში;
- სახელშეკრულებო ღირებულებების ცვლილების გამო (პროექტები ჩართულია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში), დაკორექტირდა 2018 წლის 11 ივნისს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ N01-01/14 გადაწყვეტილებით შეთანხმებული და 2018 წლის 17 აგვისტოს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს N388 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის ბიუჯეტი;

მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 15 ოქტომბრის N01-01/20 (ოქმიN13) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2018 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2018 წლის 26 ოქტობერს N435 (ოქმი N392) გადაწყვეტილებით.

✓ 2018 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

## 2. მაუწყებლის ბიუჯეტის 2018 წლის შესრულების მაჩვენებლები

| ხარჯების დასახელება | დამტკიცებული ბიუჯეტი | | კორექტირებული ბიუჯეტი | | | | ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი | | | | ბიუჯეტის შესრულება % | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხაზინა | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები | ხაზინა კორექტირებული | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები კორექტირებული | სხვაობა დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის | სხვაობა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის | ხაზინა ფაქტიური შესრულება | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები ფაქტიური შესრულება | სხვაობა კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის | სხვაობა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის | ხაზინა | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები |
| მრჩეველთა საბჭო | 236 370,00 | 5 100,00 | 236 370,00 | 5 100,00 | - | - | 236 366,70 | | 3,30 | | 100,00% | |
| ადმინისტრაცია | 2 600 430,00 | 19 650,00 | 2 469 420,00 | 19 650,00 | (131 010,00) | - | 2 469 209,96 | | 210,04 | | 99,99% | |
| ახალი ამბები | 1 037 360,00 | 5 000,00 | 1 115 000,00 | 5 960,00 | 77 640,00 | 960,00 | 1 114 994,25 | | 5,75 | | 100,00% | |
| მედიაწარმოება და პროდიუსინგი | 2 441 630,00 | 34 550,00 | 2 425 000,00 | 151 210,00 | (16 630,00) | 116 660,00 | 2 424 971,45 | | 28,55 | | 100,00% | |
| რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა | 298 000,00 | - | 368 000,00 | 7 200,00 | 70 000,00 | 7 200,00 | 367 999,56 | | 0,44 | | 100,00% | |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | 1 214 710,00 | 80 700,00 | 1 214 710,00 | 80 700,00 | - | - | 1 214 700,07 | | 9,93 | | 100,00% | |
| სხვა გადასახდელები | 50 500,00 | 25 000,00 | 50 500,00 | 27 120,00 | - | 2 120,00 | 50 500,00 | | - | | 100,00% | |
| **სულ ჯამი** | 7 879 000,00 | 170 000,00 | 7 879 000,00 | 296 940,00 | - | 126 940,00 | 7 878 741,99 | | 258,01 | | 100,00% | |

→ **დამტკიცებულ და დაკორექტირებულ ბიუჯეტს შორის სხვაობამ ხაზინის ნაწილში გასალდოებით შეადგინა 0,00 ლარი, თუმცა ცხრილიდან ჩანს, რომ „ადმინისტრაცია"-ს მუხლი შემცირდა 131 010,00 ლარით, „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-ს მუხლი შემცირდა 16 630,00 ლარით, სულ შემცირებამ ჯამში შეადგინა 147 640 ლარი, ხოლო „ახალი ამბები"-ს მუხლი გაიზარდა 77 640,00 ლარით, „რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა"-ს მუხლი გაიზარდა 70 000,00 ლარით, სულ ჯამში გაზრდამ შეადგინა 147 640 ლარი.**

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია 2018 წლის ივნისის თვეში საბიუჯეტო სახსრების მუხლობრივ ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით, კერძოდ:

2018 წლის განმავლობაში მაუწყებლის საშტატო პოზიციები თანამდებობრივი სარგოს ნაწილში იყო ვაკანტური, ფიზიკურად ვერ ხორციელდებოდა თანხების ათვისება. ასევე განხორციელდა დასაქმებულების გადაყვანა როგორც "ადმინისტრაცია"-ს, ასევე "ახალი ამბები"-ს, „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-ს და „რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა"-ს შრომის ანაზღაურების (შტატგარეშე) ნაწილით გათვალისწინებულ მუხლებში. აღნიშნულმა ვაკანსიებმა/ გადაადგილებებმა გამოიწვია ის, რომ დამტკიცებული მუხლობრივი ბიუჯეტის ადმინისტრაცია/თანამდებობრივი სარგოს ნაწილში წარმოქმნა ეკონომია, ხოლო „ახალი ამბები"-ს, „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-სა და „რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა"-ს არასაშტატო პოზიციებზე კი შექმნა დეფიციტი. შესაბამისად მუხლობრივ ნაწილში შევიდა ცვლილება და დაზუსტდა თითოეულ მუხლზე გამოყოფილი თანხის მოცულობა და შესაბამისობაში მოვიდა არსებულ საჭიროებებთან.

→ **დამტკიცებულ და დაკორექტირებულ ბიუჯეტს შორის სხვაობამ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ნაწილში შეადგინა 126 940,00 ლარი, კერძოდ:**

- 2018 წლის თებერვლისის თვეში გაიზარდა „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-ს მუხლი 60 600,00 ლარით, კერძოდ:
  - ა(ა)იპ "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში ყოველკვირეული რუბრიკის „ჩემი უფლება" -ს მომზადება თანხით 5 120,00 ლარი, საიდანაც გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 5 100,00 ლარს;
  - ა(ა)იპ "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მაუწყებლის გადაცემა "#ჰეშთეგი" და რადიოთი დამოუკიდებელი მასალის „ქალთა ძალადობის

წინააღმდეგ სოციალური სარეკლამო ვიდეო და აუდიო ტიხარი“ მომზადება, თანხით 3 070,00 ლარი;

- უცხოური საწარმოს ფილიალი „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების საქართველოს წარმომადგენლობას“ შორის გაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში (ტრანსლაციის უფლება), სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოსა“ და ა(ა)იპ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში „რადიო თავისუფლებასთან“ ერთად შექმნას მაღალი ხარისხის დისკუსიების ფორმატი, რომელიც დაეთმობა ქვეყანაში ძირითადი საჭიროების გამოვლენას, კერძოდ, კინომცოდნე გიორგი გვახარიას მიერ გადაცემის „ანარეკლები“-სა და თოქ-შოუს ფორმატში ჟურნალისტ სალომე ასათიანის გადაცემის „ვიპალარაკოთ“ მომზადებას, სახელშეკრულებო ღირებულებით 19 800,00 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს (±52430 ლარი), რომელიც გათვალისწინებულია დასაქმებულთა მიერ გაწეული მომსახურების ჰონორარის დასაფინანსებლად.

- 2018 წლის აპრილის თვეში გაიზარდა „ახალი ამბები“-ს მუხლი 960,00 ლარით, ხოლო „მედიაწარმოება და პროდიუსინგი“-ს მუხლი 7 200,00 ლარით, კერძოდ:
  - ა(ა)იპ “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი“-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში ახალი ამბების მთავარ გამოშვებებში ყოველკვირეულად 4 ანალიტიკური სიუჟეტის მომზადება გარემოს დაცვის თემაზე, თანხით 960,00 ლარი;
  - ა(ა)იპ “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ დაფინანსებული პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესში“ ფარგლებში, თემის შესაბამისად, ცალკე ან ერთობლივად 10 გადაცემის მომზადება, თანხით 3 000,00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (±7450 ლარი), საიდანაც გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 7 200,00 ლარს.

- 2018 წლის მაისის თვეში გაიზარდა „მედიაწარმოება და პროდიუსინგი“-ს მუხლი 1 725,00 ლარით, „რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა“-ს მუხლი 5 200,00 ლარით, ხოლო „სხვა გადასახდელები“-ს მუხლი კი 945,00 ლარის ოდენობით, კერძოდ:
  - ა(ა)იპ “მიგრაციის ცენტრს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში 3 ვიდეორგოლის მომზადება თანხით 1 737,00 ლარი, საიდანაც გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 1 725,00 ლარს;
  - ა(ა)იპ “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მაუწყებლის რადიო გადაცემა „მთვარის კლუბი“-ს ეთერში „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-ს მიერ

დაფინანსებული პროექტის „მულტიკულტურული ინტეგრაცია აჭარაში" ფარგლებში 8 (რვა) გადაცემის მომზადება, თანხით 2 560,00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (±6 145 ლარი), სადაც დასაქმებულთა ხელფასით უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 5 200 ლარი, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) კი 945 ლარი.

- 2018 წლის აგვისტოს თვეში გაიზარდა „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-ს მუხლი 47 235,00 ლარით, „რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა"-ს მუხლი 2 000,00 ლარით, ხოლო „სხვა გადასახდელები"-ს მუხლი კი 8 675,00 ლარის ოდენობით, კერძოდ:
  - ა(ა)იპ "საერთაშორისო განათლების ცენტრი"-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში ფონდი "საერთაშორისო განათლების ცენტრი""-ს პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობისთვის აჭარაში" ფარგლებში 4 (ოთხი) სატელევიზიო სიუჟეტის (შემეცნებითი, ინფორმაციული) მომზადება, თანხით 3 444,00 ლარი, საიდანაც გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 3 420,00 ლარს;
  - საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა "აი ფი ეს/საქართველო"-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, მაუწყებლის რადიოს პირდაპირ ეთერში გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ყოველკვირეული გადაცემების „საუბრები გენდერზე" თანხით 2 000,00 ლარი;
  - ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, მაუწყებლის გადაცემა „დილის ტალღა"-ს ეთერში პროექტის „ძალა ერთობაშია" ფარგლებში 16 სატელევიზიო სიუჟეტის მომზადება, თანხით 7 788 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (±18 690 ლარი);
  - „ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში" გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, პროექტის „ევროპული დღეები აჭარაში" თანხით 35 000,00 ლარი.

- 2018 წლის ოქტომბრის თვეში გასალდოებით შემცირდა „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-ს მუხლი 100,00 ლარით, ხოლო „სხვა გადასახდელები"-ს მუხლი კი 7 500,00 ლარის ოდენობით, საიდანაც

  26) გაიზარდა „მედიაწარმოება და პროდიუსინგი"-ს მუხლი 3 400,00 ლარით, ხოლო „სხვა გადასახდელები"-ს მუხლი კი 650,00 ლარის ოდენობით, კერძოდ:
  - ა(ა)იპ "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი"-ს ეთერში ყოველკვირეული რუბრიკა „ჩემი უფლება"-ს მომზადება თანხით 4 240,04 ლარს, საიდანაც გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს 4 050,00 ლარს;

27) შემცირდა „მედიაწარმოება და პროდიუსინგი“-ს მუხლი 3 500,00 ლარით, ხოლო „სხვა გადასახდელები“-ს მუხლი კი 8 150,00 ლარის ოდენობით, კერძოდ:

- ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-ს თან გაფორმდა ხელშეკრულება გადაცემა „დილის ტალღა“-ს ეთერში პროექტის „ძალა ერთობაშია“ის ფარგლებში 16 სატელევიზიო სიუჟეტის მომზადება. ვინაიდან საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად პროექტი ჩართულია საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლეთა პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში დაზუსტდა სახელშეკრულებო ღირებულება თანხით 6 600 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (±15 840 ლარი);
-

## ❖ ათვისებული ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლები

### საბიუჯეტო სახსრები




### არასაბიუჯეტო სახსრები



## 3.მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია

2017 წელში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 6 962 000,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 6 958 031,66 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 3 968,34 ლარს, კერძოდ:

- შრომის ანაზღაურების მუხლში დარჩა ასათვისებელი 183,92 ლარი, მათ შორის:
  - → თანამდებობრივი სარგო 115,99 ლარი;
  - → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 18,72 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 49,21 ლარი;
- მივლინების მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,06 ლარი;
- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 3 742,97 ლარი, მათ შორის:
  - → მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი 2 014,00 ლარი (რომელიც გამოწვეულია საშტატო განრიგში არსებული ვაკანსიით);
  - → ოფისი 740,07 ლარი;
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 341,90 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 647,00 ლარი.
- ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 28,99 ლარი;
- პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 3,61 ლარი;
- ტექნიკური ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 8,79 ლარი.

***გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 99,94 %-ს.***

2017 წელში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 198 160,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 189 452,66 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 8 707,34 ლარს, კერძოდ:

- შრომის ანაზღაურები მუხლში დარჩა ასათვისებელი 59,12 ლარი;
- მივლინების მუხლში დარჩა ასათვისებელი 508,29 ლარი;
- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 4 110,00 ლარი, მათ შორის:
  - → მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი 2 800,00 ლარი;
  - → მივლინებები 1 310,00 ლარი.
- ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 1 021,00 ლარი;
- პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 1 984,11 ლარი;
- ტექნიკური ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 1 024,82 ლარი.

***გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 95,61 %-ს.***

დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2017 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

## ❖ დეტალური ინფორმაცია მაუწყებლის მიერ 2017 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

| ხარჯების დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეტი | | | არასაბიუჯეტო შემოსავლები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კორექტირებული გეგმა | საკასო ხარჯი | გადახრა | კორექტირებული გეგმა | საკასო ხარჯი | გადახრა |
| **სულ** | **6 962 000,00** | **6 958 031,66** | **3 968,34** | **198 160,00** | **189 452,66** | **8 707,34** |
| **შრომის ანაზღაურება** | **4 216 220,00** | **4 216 036,08** | **183,92** | **67 660,00** | **67 600,88** | **59,12** |
| თანამდებობრივი სარგო | 1 351 524,00 | 1 351 408,01 | 115,99 | - | - | - |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 2 802 596,00 | 2 802 577,28 | 18,72 | - | - | - |
| თანამშრომელთა ხელფასი ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის,, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების ცენტრის, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს, IFES-ს საქართველოსა და ა(ა)იპ ევროპის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში | - | - | - | 67 660,00 | 67 600,88 | 59,12 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 62 100,00 | 62 050,79 | 49,21 | - | - | - |
| **მრჩეველთა საბჭო** | **208 860,00** | **205 117,03** | **3 742,97** | **4 200,00** | **90,00** | **4 110,00** |
| მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი | 114 310,00 | 112 296,00 | 2 014,00 | 2 800,00 | - | 2 800,00 |
| მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგო | 30 000,00 | 30 000,00 | - | - | - | - |
| მივლინება | 535,00 | 535,00 | - | 1 400,00 | 90,00 | 1 310,00 |
| სოც. კვლევა მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით | 10 000,00 | 9 900,20 | 99,80 | - | - | - |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 835,00 | 673,97 | 161,03 | - | - | - |
| მობილური ტელეფონების ხარჯი (2016/XII-2017/I) | 65,00 | 64,96 | 0,04 | - | - | - |
| მაცივარის შეძენა (1) | 300,00 | 300,00 | - | - | - | - |
| საოფისე ავეჯის შეძენა | 1 559,00 | 980,00 | 579,00 | - | - | - |
| ნაძვის ხის და დეკორატიული ნივთების შეძენა რადიოსთვის | 499,00 | 498,60 | 0,40 | - | - | - |
| ჭურჭლის შეძენა | 236,00 | 235,90 | 0,10 | - | - | - |
| ნოუთბუქი (4), მუშა სადგური (2), ფერადი პრინტერი (1) | 26 050,00 | 26 019,00 | 31,00 | - | - | - |
| ტელევიზორის შეძენა (1) | 616,00 | - | 616,00 | - | - | - |
| რეიტინგების მთვლელი კვლევა მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით | 23 700,00 | 23 458,40 | 241,60 | - | - | - |
| საკანცელარიო საქონელი | 155,00 | 155,00 | - | - | - | - |
| **მივლინება** | **107 000,00** | **106 999,94** | **0,06** | **15 000,00** | **14 491,71** | **508,29** |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 69 591,00 | 69 591,00 | - | 13 400,00 | 12 907,00 | 493,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით 2016/XII | 105,00 | 105,00 | - | - | - | - |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 37 304,00 | 37 303,94 | 0,06 | 1 600,00 | 1 584,71 | 15,29 |

| ადმინისტრაციული | 684 980,00 | 684 951,01 | 28,99 | 9 100,00 | 8 079,00 | 1 021,00 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები | 1 980,00 | 1 980,00 | - | - | - | - |
| დანარჩენი საკანცელარიო ნივთები | 6 334,00 | 6 333,45 | 0,55 | - | - | - |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 2 177,34 | 2 177,34 | - | - | - | - |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 1 271,13 | 1 271,13 | - | - | - | - |
| კომპიუტერული პროგრამების შეძენა, განახლება, მომსახურება | 6 119,00 | 6 117,90 | 1,10 | - | - | - |
| კომპიუტერის ანტივირუსის მომხმარებლის ლიცენზიის უფლება | 4 896,00 | 4 896,00 | - | - | - | - |
| ჟურნალ-გაზეთების შეძენა | 562,00 | 562,00 | - | - | - | - |
| წამყვანის პლანშეტის ბრენდირება | 100,00 | 100,00 | - | - | - | - |
| მადლობის სიგელების, ტიტულიანი ბლანკების ბეჭდვა, მანქანის ლოგოების ბეჭდვა | 221,00 | 221,00 | - | - | - | - |
| რბილი ავეჯის (სტუდიის სავარძლების) შეძენა | - | - | - | 900,00 | 900,00 | - |
| საკონონმდებლო მაცნეს ბაზის განახლება | 288,00 | 288,00 | - | - | - | - |
| საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ანგარიშის გამოქვეყნების საფასური | 40,00 | 40,00 | - | - | - | - |
| კომპიუტერული ტექნიკა  და მარაგები | 20 174,00 | 20 173,00 | 1,00 | - | - | - |
| დენის საზომი ხელსაწყოს და ინდიკატორის შეძენა | 140,00 | 140,00 | - | - | - | - |
| კატრიჯების შეძენა | 5 008,00 | 5 007,92 | 0,08 | - | - | - |
| გამაგრილებელი ტექნიკა (წყლის გამაცხელებელი, ვენტილალატორი და ა.შ.) | 485,00 | 484,99 | 0,01 | - | - | - |
| ელექტრო გამათბობლების შეძენა | 720,00 | 720,00 | - | - | - | - |
| სარეცხი მანქანისა და ორთქლის უთოს მოწოდება | 638,00 | 638,00 | - | - | - | - |
| სარჩილავი მოწყობილობების შეძენა | 140,00 | 140,00 | - | - | - | - |
| საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 190,00 | 190,00 | - | - | - | - |
| თმის ფენის შეძენა | 300,00 | 300,00 | - | - | - | - |
| ქსელის კაბელები და კონექტორები | 848,00 | 848,00 | - | - | - | - |
| გასანათებელი მოწყობილობები  და ნათურები | 4 670,00 | 4 669,60 | 0,40 | - | - | - |
| კაბელის და კაბელის აქსესუარების შეძენა | 5 384,00 | 5 383,90 | 0,10 | - | - | - |
| სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა | 165,00 | 165,00 | - | - | - | - |
| სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი | 2 619,00 | 2 618,50 | 0,50 | - | - | - |
| ჩაიდანის და ყავის მადუღარას შეძენა | 1 685,00 | 1 685,00 | - | - | - | - |
| ტელეფონის აპარატი | 280,00 | 280,00 | - | - | - | - |
| DVB T-2 სიგნალის მიმღები (1) | 45,00 | 45,00 | - | - | - | - |
| შენობის ლაითბოქსების (აბრა) შეძენა | 4 200,00 | 4 200,00 | - | - | - | - |
| მაგიდის სანათების შეძენა | 967,00 | 966,50 | 0,50 | - | - | - |
| ბრენდირებული საქონელის შეძენა | 84,00 | 84,00 | - | - | - | - |
| მედიკამენტების შეძენა | 423,00 | 422,05 | 0,95 | - | - | - |
| საინფორმაციო დაფების შეძენა | 700,00 | 700,00 | - | - | - | - |
| რადიოს შენობისათვის საყვავილეების შეძენა | 114,00 | 113,50 | 0,50 | - | - | - |
| საახალწლო ნაძვის ხის, სათამაშოების და დეკორატიული ნივთების შეძენა | 1 706,00 | 1 704,14 | 1,86 | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საოფისე ავეჯი | 9 943,00 | 9 942,20 | 0,80 | - | - | - |
| ცოცხები, ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები | 1 459,00 | 1 458,60 | 0,40 | - | - | - |
| საწმენდი საშუალებები და დისპენსერები | 1 067,00 | 1 066,90 | 0,10 | - | - | - |
| ტუალეტის ქაღალდები და ხელსახოცები | 2 322,00 | 2 321,06 | 0,94 | - | - | - |
| თხევადი საპონის შეძენა | - | - | - | 360,00 | 129,00 | 231,00 |
| ჭურჭლის შეძენა | 261,00 | 260,60 | 0,40 | - | - | - |
| სამუშაო ხელთათმანების შეძენა | 141,00 | 140,40 | 0,60 | - | - | - |
| ლინოლიუმის, თუნუქის ფურცლების, საღებავის, საწვიმარი ღარის, ტიხრის კედლისა და ფუნჯების შეძენა | 1 783,00 | 1 781,70 | 1,30 | - | - | - |
| ტელევიზიისა და რადიოს შენობებს შორის მიწისქვეშა კაბელის დაზიანებული ნაწილის შეძენა | 649,00 | 649,00 | - | - | - | - |
| შენობის მიმდინარე რემონტი | 25 556,00 | 25 555,23 | 0,77 | - | - | - |
| რადიოს შენობის კარ-ფანჯრების, სამზარეულოს შეკეთება | 1 230,00 | 1 230,00 | - | - | - | - |
| ომბალურის გადამცემ სადგურზე მდებარე ტრანსფორმატორის შეკეთება | 163,00 | 162,50 | 0,50 | - | - | - |
| უნიტაზის ბაკები და ონკანები | 279,00 | 279,00 | - | - | - | - |
| დიზელ-გენერატორისათვის ზეთის ფილტრების შეძენა | 100,00 | 100,00 | - | - | - | - |
| რბილი ავეჯის წმენდის მომსახურება | 50,00 | 50,00 | - | - | - | - |
| კონდიციონერების შეკეთება და ტექ. მომსახურება | 3 963,00 | 3 963,00 | - | - | - | - |
| საკონფერენციო დარბაზის დაქირავება | 4 856,10 | 4 856,10 | - | - | - | - |
| შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება | 9 391,00 | 9 391,00 | - | - | - | - |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 11 603,00 | 11 602,74 | 0,26 | 300,00 | - | 300,00 |
| მობილური ტელეფონების ხარჯი (2016/XII-2017/I) | 880,00 | 879,36 | 0,64 | - | - | - |
| ინტერნეტით მომსახურების ხარჯი | 17 489,00 | 17 488,62 | 0,38 | - | - | - |
| დომენის რეგისტრაციის გაგრძელება | 90,00 | 90,00 | - | - | - | - |
| სატელეკომუნიკაციო (ჰოსტიგის წლიური) მომსახურეობა | 10 500,00 | 10 500,00 | - | - | - | - |
| პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები | 1 314,32 | 1 314,32 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის მომსახურების მოგების გადასახადი | 3 366,67 | 3 366,67 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის უკუდაბეგვრის დღგ-ს გადასახადი | 909,00 | 909,00 | - | - | - | - |
| საფოსტო მომსახურება | 1 759,23 | 1 759,23 | - | - | - | - |
| ელ.ენერგია | 77 514,71 | 77 514,71 | - | - | - | - |
| ელ.ენერგია 2016/XII (თელასი) | 65,00 | 64,99 | 0,01 | - | - | - |
| წყალი | 4 469,50 | 4 469,50 | - | - | - | - |
| გენერატორებისთვის საწვავის შეძენა | 1 675,00 | 1 674,50 | 0,50 | - | - | - |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი (ჰიგიენური საშუალებების შეძენა) | 3 000,00 | 3 000,00 | - | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საკორ. პუნქტებისთვის ოფისების დაქირავების ხარჯი | 15 450,00 | 15 450,00 | - | - | - | - |
| საქ.ტელერადიოცენტრის მიერ ანძებზე დამონტაჟებული აპარატურის შენახვის ხარჯი | 3 000,00 | 3 000,00 | - | - | - | - |
| პირველადი ბატარეები, ელემენტები, აკუმლატორები, UPS | 16 880,00 | 16 879,40 | 0,60 | - | - | - |
| ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება | 1 300,00 | 1 300,00 | - | - | - | - |
| სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის (წარმომადგენლობითი) ხარჯი | - | - | - | 300,00 | 300,00 | - |
| უწყვეტი დენის წყარო (1) | 9 429,00 | 9 428,20 | 0,80 | - | - | - |
| საწვავი (ავტომანქანებზე) | 108 295,00 | 108 294,71 | 0,29 | - | - | - |
| საწვავი (ავტომანქანებზე) 2016/XII | 9 970,00 | 9 969,43 | 0,57 | - | - | - |
| საბურავების შეძენა | 2 504,00 | 2 504,00 | - | - | - | - |
| ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის და რეცხვის ხარჯი | 52 449,00 | 52 446,24 | 2,76 | - | - | - |
| GPS-ის მოწყობილობა -ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურეობა | 4 585,00 | 4 584,19 | 0,81 | - | - | - |
| ავტომანქანების დაზღვევა | 8 151,00 | 8 151,00 | - | - | - | - |
| ტექნიკის მოვლა- შეხავის ხარჯი | 300,00 | 300,00 | - | - | - | - |
| სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი | 2 648,00 | 2 647,74 | 0,26 | - | - | - |
| ავტომანქანების პარკირების ხარჯი | 680,00 | 680,00 | - | - | - | - |
| ექსპერტიზისა და შემოწმებების ხარჯი | 350,00 | 350,00 | - | - | - | - |
| სამხარაულის ბიუროს მიერ შენობის აფასების მომსახურება | 1 600,00 | 1 600,00 | - | - | - | - |
| დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან | 875,00 | 875,00 | - | - | - | - |
| ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება) | 700,00 | 700,00 | - | - | - | - |
| ტექნიკური საჭიროებების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება | 2 500,00 | 2 500,00 | - | - | - | - |
| ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 2 000,00 | 2 000,00 | - | - | - | - |
| სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 1 031,00 | 1 029,15 | 1,85 | - | - | - |
| საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ სასწავლო კურსით მომსახურება | 300,00 | 300,00 | - | - | - | - |
| აუდიტორული მომსახურება | - | - | - | 2 340,00 | 1 850,00 | 490,00 |
| კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 3 300,00 | 3 300,00 | - | - | - | - |
| შენობის დაცვა (ორბელიანის 17) | 8 013,00 | 8 012,20 | 0,80 | - | - | - |
| შენობის დაცვა (ადმინისტრაციული) | 133 200,00 | 133 200,00 | - | - | - | - |
| ადმინისტრაციული შენობის (მ.აბაშიძის 41) სახურავის კაპიტალური რემონტისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება | 4 500,00 | 4 500,00 | - | - | - | - |
| რადიოს შენობის აზომვითი ნახაზის მომზადება | 250,00 | 250,00 | - | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მედიამონიტორინგის მომსახურება | 4 750,00 | 4 750,00 | - | - | - | - |
| სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება | - | - | - | 4 900,00 | 4 900,00 | - |
| სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი | 4 331,00 | 4 331,00 | - | - | - | - |
| განცხადებების გამოქვეყნების საფასური | 77,50 | 77,50 | - | - | - | - |
| მართვასთან დაკავშირებული (საეთერო ბადის და აუდიტორიის ანალიზი) მომსახურება | 3 540,00 | 3 540,00 | - | - | - | - |
| ლოგოტიპის სიმბოლოს შეძენა | 550,00 | 550,00 | - | - | - | - |
| ქონების რეგისტრაციის საფასური | 100,00 | 100,00 | - | - | - | - |
| ჟალუზების შეძენა | 920,00 | 920,00 | - | - | - | - |
| რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი | 350,00 | 350,00 | - | - | - | - |
| დილის გადაცემის რუბრიკის, გადაცემა ჰეშთეგი და ბიბლიოთეკასათვის წიგნების შეძენა | 1 096,00 | 1 090,90 | 5,10 | - | - | - |
| 112-ს მომსახურების საფასური (ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების) | 175,00 | 175,00 | - | - | - | - |
| 112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურების) | 1 308,50 | 1 308,50 | - | - | - | - |
| **საინფორმაციო** | **23 717,00** | **23 717,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** | **0,00** |
| პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები | 18 051,41 | 18 051,41 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 2 125,59 | 2 125,59 | - | - | - | - |
| საინფორმაციო მომსახურება "ახალი ამბები" | 3 540,00 | 3 540,00 | - | - | - | - |
| კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | - | - | - | - | - | - |
| **პროდიუსინგი** | **581 540,00** | **581 536,39** | **3,61** | **11 000,00** | **9 015,89** | **1 984,11** |
| ბილბორდების დაქირავება ბანერებისათვის | 49 381,00 | 49 380,71 | 0,29 | - | - | - |
| ბრენდირებული საწვიმარი აქსესუარები, ჟილეტები და ქუდები | 10 758,70 | 10 758,40 | 0,30 | - | - | - |
| კლასიკური მხატვრული ფილმების გახმოვანება | 23 250,00 | 23 250,00 | - | - | - | - |
| გადაცემა "ქალთა წინააღმდეგ ძალადობის"ანაზღაურება | - | - | - | 767,50 | 767,50 | - |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა | 417 463,00 | 417 462,90 | 0,10 | - | - | - |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა | 15 851,00 | 15 850,00 | 1,00 | - | - | - |
| რაგბის მატჩების პირდაპირი ტრანსლირება | 16 000,00 | 16 000,00 | - | - | - | - |
| გადაცემებისათვის ბრენდირებული მაისურის შეძენა | - | - | - | 279,00 | 279,00 | - |
| წამყვანთა ჩაცმულობა | 8 950,30 | 8 950,29 | 0,01 | 100,00 | 100,00 | - |
| სტუდიების განახლების სამუშაოების შესყიდვა | 2 610,00 | 2 610,00 | - | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზურგჩანთა წამყვანისათვის ("ერთი დღე სოფელში") | 232,00 | 232,00 | - | - | - | - |
| კოსმეტიკური საშუალებების შეძენა (სტილისტი+გრიმიორი) | 7 564,00 | 7 563,94 | 0,06 | - | - | - |
| სატელევიზიო გადაცემებისთვის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | - | - | - | 1 973,00 | 1 651,87 | 321,13 |
| ბრენდირებული საქონელის შეძენა | 1 000,00 | 999,00 | 1,00 | - | - | - |
| ბილბორდებისათვის, შტენდერისათვის ბანერების დაბეჭდვა; გამაფრთხილებელი ნიშნის სტიკერების ბეჭდვა | 3 986,00 | 3 985,70 | 0,30 | 648,00 | 648,00 | - |
| შოთა გუჯაბიძის დოკუმენტური ფილმის რეკვიზიტასთვის ლითონის ფირფიტების ბეჭდვა | 42,00 | 42,00 | - | - | - | - |
| გარეწარმოება (ინგლისური ენის გაკვეთილები) | 1 550,00 | 1 550,00 | - | - | - | - |
| საბიბლიოთეკო წიგნების შეძენა | 249,00 | 249,00 | - | - | - | - |
| ნიადაგის კვლევის მომსახურება (გადაცემა "ბუნების კანონი") | 85,00 | 85,00 | - | - | - | - |
| გასაშლელი სარეკლამო კონსტრუქციის (შტენდერი) შეძენა | 745,00 | 745,00 | - | - | - | - |
| რეკლამის ხარჯი (სოც.ქსელი) | - | - | - | 3 000,00 | 2 523,41 | 476,59 |
| საავტორო უფლებების ჰონორარი | 19 835,00 | 19 834,86 | 0,14 | - | - | - |
| ბანერი რკინის კონსტრუქციით (1) | 600,00 | 600,00 | - | - | - | - |
| ნამზადების და რადიომაუწყებლობის სტრიმერის შეძენა (არარეზიდენტის მოგების გადასახადთან ერთად) | 1 388,00 | 1 387,59 | 0,41 | 4 232,50 | 3 046,11 | 1 186,39 |
| **ტექნიკური** | **1 086 683,00** | **1 086 674,21** | **8,79** | **66 200,00** | **65 175,18** | **1 024,82** |
| თანამგზავრული მაუწყებლობა | 242 710,30 | 242 710,30 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 24 766,70 | 24 766,70 | - | - | - | - |
| პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები | 900,00 | 900,00 | - | - | - | - |
| მუშა სადგურის (4), ნოუთბუქისა (1) და პლანშეტის (1) შეძენა | - | - | - | 22 700,00 | 22 700,00 | - |
| მიკროფონისა (16) და ყურსასმენის (14) შეძენა | 6 183,00 | 6 182,72 | 0,28 | - | - | - |
| სატრანსპორტო საშუალების შეძენა (2) | 89 200,00 | 89 200,00 | - | - | - | - |
| შენობის სახურავის იჯარა მიმღებ/გადამცემი აპარატურის დასამონტაჟებლად | 3 600,00 | 3 600,00 | - | - | - | - |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 273 900,00 | 273 900,00 | - | - | - | - |
| საქველმოქმედო კონცერტის ტრანსლირებისათვის თანამგზავრული სიგნალის მიწოდება | 2 500,00 | 2 500,00 | - | - | - | - |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის მომსახურება | 900,00 | 900,00 | - | - | - | - |
| სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი | 250,00 | 250,00 | - | - | - | - |
| რესივერების შეძენა (კომპლექტი) | 2 664,00 | 2 664,00 | - | - | - | - |
| ციფრული მიმღების შეძენა | 600,00 | 600,00 | - | - | - | - |
| სატელევიზიო ხმის რეგულირების პროცესორი (1) | 19 990,00 | 19 989,20 | 0,80 | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რადიო ხმის რეგულირების FM პროცესორი (1) | 18 500,00 | 18 500,00 | - | - | - | - |
| ხმის პულტი 16 არხიანი (1) | 1 380,00 | 1 380,00 | - | - | - | - |
| სამუშაო სადგურის (ვიდეოსამონტაჟო) (5) შეძენა | 25 960,00 | 25 960,00 | - | - | - | - |
| სამონტაჟო ნოუთბუქის (7) შეძენა | 16 933,00 | 16 933,00 | - | - | - | - |
| რადიო მიმღების შეძენა | - | - | - | 1 200,00 | 1 150,00 | 50,00 |
| ეროვნული ლიგის თამაშების პირდაპირი ტრანსლირება | 20 000,00 | 20 000,00 | - | - | - | - |
| სატელევიზიო აპარატურის შეკეთების ხარჯი | 7 900,00 | 7 898,92 | 1,08 | 1 786,00 | 1 786,00 | - |
| ციფრული სიგნალის გარდამქმნელები/კონვენტორები | - | - | - | - | - | - |
| ვიდეო სიგნალის კონვენტორი | 1 093,00 | 1 093,00 | - | - | - | - |
| საოფისე ლეპტოპის შეძენა (1) | 1 260,00 | 1 259,99 | 0,01 | - | - | - |
| პირდაპირი ჩართვებისთვის სატელეფონო ხაზის გამოყენების აპარატურა (ლაივუ) (3) | 75 000,00 | 75 000,00 | - | - | - | - |
| ვიდეო-აუდიო მიქშერული პულტის დაქირავება | 1 416,00 | 1 416,00 | - | - | - | - |
| რადიო შენობის (მ.აბაშიძის 57) კონდიცირების სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება | - | - | - | 2 100,00 | 2 100,00 | - |
| ვიდეოკამერის საკომპლექტაციო აქსესუარების შეძენა (რადიომიკროფონი (6), სამკერდე მიკროფონი (6)) | 18 489,00 | 18 489,00 | - | - | - | - |
| სტუდიის განათების კომპლექტი და გარე განათების კომპლექტი | 48 080,00 | 48 079,10 | 0,90 | - | - | - |
| კამერის განათების კომპლექტის შეძენა (6) | 8 036,00 | 8 035,80 | 0,20 | - | - | - |
| HD ფორმატის ვიდეოჩამწერი (1) | - | - | - | 11 926,00 | 11 516,95 | 409,05 |
| WIFI (მოდემი) აპარატის შეძენა (3) | - | - | - | 1 090,00 | 930,00 | 160,00 |
| ქსელის კომუტატორი (3) | - | - | - | 2 036,00 | 1 990,68 | 45,32 |
| პროფესიონალური რესივერი (1) | - | - | - | 3 814,00 | 3 810,17 | 3,83 |
| სიგნალის კონვენტორის შეძენა (2) | 708,00 | 708,00 | - | - | - | - |
| ამწე კამერისათვის (1), შტატივი სტუდიის კამერისათვის (3), GSM ჰიბრიდი (1), ვიდეოპულტი კაბელით, კონექტორებით (1) | 50 658,00 | 50 657,40 | 0,60 | - | - | - |
| სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონი (8), ხელის რადიო მიკროფონი (3), უკაბელო საკამერო მიკროფონის კომოლექტი (3), რეპროდუქტორი (3), აუდიო სიგნალის მიმღები (2) | 30 892,00 | 30 891,22 | 0,78 | - | - | - |
| ენკოდერის კომპლექტი (1) | 39 519,00 | 39 518,20 | 0,80 | - | - | - |
| არაფინანსური აქტივების შეძენისას გადასახდელი დღგ | - | - | - | 9 020,00 | 9 001,40 | 18,60 |
| ვიდეოსამეთვალყურეო კამერები | 3 599,00 | 3 599,00 | - | - | - | - |
| დეემბედერი (3), ემბედერი (1) | 9 682,00 | 9 681,90 | 0,10 | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაფიკული მუშა სადგური ტიტრებისათვის (1) | 19 774,00 | 19 773,26 | 0,74 | - | - | - |
| აპარატურის სამგრი კარადა (1) | 1 599,00 | 1 598,90 | 0,10 | - | - | - |
| სატელევიზიო აპარატურის შეძენა (ქსელური ენკოდერი (1), ინტერნეტ ან ლოკალურ ქსელში SDI ან HDMI ვიდეო აუდიო ნაკადის როგორც უსბ (USB) კამერის გამშვები (1), ქსელური ნაკადის მიმღები დეკოდერი (1) | 5 841,00 | 5 841,00 | - | - | - | - |
| დასწრების აღრიცხვის სისტემა (2) | 10 256,00 | 10 254,20 | 1,80 | - | - | - |
| დასწრების აღრიცხვის პლასტიკური ბარათები (300) | 744,00 | 743,40 | 0,60 | - | - | - |
| ინტერაქტივის (მონაცემთა შეგროვების და შეჯერების) მომსახურება | 1 200,00 | 1 200,00 | - | - | - | - |
| ციფრული კამერა (2), ლაივ კამერა (1) | - | - | - | 7 904,00 | 7 817,00 | 87,00 |
| შტატივი მობილური ტელეფონისათვის (2) | - | - | - | 693,00 | 693,00 | - |
| მობილური ტელეფონი პირდაპირი ჩართვებისათვის (2) | - | - | - | 200,00 | 199,98 | 0,02 |
| ყურსასმენები (20) | - | - | - | 1 731,00 | 1 480,00 | 251,00 |
| **სხვა გადასახდელები** | **53 000,00** | **53 000,00** | **0,00** | **25 000,00** | **25 000,00** | **0,00** |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 52 091,71 | 52 091,71 | - | - | - | - |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | - | - | - | 25 000,00 | 25 000,00 | - |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 908,29 | 908,29 | - | - | - | - |

## 4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ

**2017 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით (დარიცხული) შეადგინა სულ 182 290,56 ლარი, მათ შორის:**

1) **ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლები შეადგენს 99 553,78 ლარს, კერძოდ:**
   - → **შემოსავლები სატელევიზიო ეთერში პროდუქტის განთავსების (Product Placement) მომსახურებიდან 10 200,00 ლარი;**
   - → **შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან 83 489,90 ლარი;**
   - → **შემოსავლები სხვა (არქივიდან მასალის გაცემა) მომსახურებიდან 68,83 ლარი;**
   - → **კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლები 8,34 ლარი;**
   - → **სხვა შემოსავლები (ავტომანქანის რეალიზაცია, ავტომანქანის ზიანის ანაზღაურება) 5 786,71 ლარი.**

2) **მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავლები შეადგენს 82 736,78 ლარს, კერძოდ:**
   - → **შემოსავლები IFES-ის ("აი ფი ეს/საქართველო") დაფინანსებით 2 000,00 ლარი;**
   - → **შემოსავლები "ა(ა)იპ ევროპის ფონდი"- ს დაფინანსებით 19 150,40 ლარი;**
   - → **შემოსავლები "ა(ა)იპ ფონდი "საერთაშორისო განათლების ცენტრი"-ს დაფინანსებით 3 040,00 ლარი;**
   - → **შემოსავლები "ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-ს დაფინანსებით 27 988,00 ლარი;**
   - → **შემოსავლები ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"-ს დაფინანსებით 30 558,38 ლარი.**

**არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:**

## ❖ არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები




2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბანკო (სახაზინო) ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 11 630,58 ლარი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ნაშთი 01.01.2017 | სადებეტო ბრუნვა | საკრედიტო ბრუნვა | ნაშთი 31.12.2017 |
|---|---|---|---|
| 40 839,12 | 161 526,32 | 190 734,86 | 11 630,58 |

## 5. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ და შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები) შესაბამისად.

მაუწყებლის მიერ გამოყენებული შესყიდვის ფორმებია:

- კონსოლიდირებული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- გამარტივებული შესყიდვები

2017 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ:

1) გამოცხადებული იყო 83 ტენდერი, მათ შორის 8 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 19 არ შედგა, ხოლო 56 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

2) განხორციელდა 358 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

   - 124 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
   - 219 სახელმწიფო ბიუჯეტით.

3) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 15 ხელშეკრულება.

## ❖ სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლები



# 6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ (სახაზინო პროგრამული კოდი 420102) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" (კანონი #64-Iს_14/12/2016) საქართველოს კანონით, პროგრამით „მაუწყებლის ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 42 00), გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განახორციელა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

2) „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს:
   a. საბიუჯეტო სასრების ხარჯები განისაზღვრა 6 962 000,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 6 958 031,66 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,94%-ია.

   მათ შორის:
      i. შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება შეადგენდა 1 493 820,00 ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 493 704,01 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,99%-ია.
   b. არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 976 200,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 975 539,46 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,93%-ია.

3) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ნაწილში სახელწიფო ასიგნების ფარგლებში ათვისებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 6 958,0 ათასი ლარი. დამატებით მაუწყებელმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღო (დარიცხული) შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) სულ 182,3 ათასი ლარი.

## დასახული შუალედური/საბოლოო შედეგები

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ახალი ამბებისა და მაღალმხატვრული ღირებულების სატელევიზიო და რადიო პროგრამების მიწოდებით ხელის შეწყობა საზოგადოების ინფორმირებულობისათვის, ტელე-რადიო არხის რეიტინგის გაზრდა, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება.

## მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები

**ა) მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:**

c. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ტექნიკური გადაიარაღების მიზნით ჩატარებული სამუშაოები:

28) შეძენილ იქნა 16 არხიანი ხმის პულტი, რომელიც დამონტაჟდა სტუდია N3-ში (ე.წ თითების სტუდია);
29) სატელევიზიო ხმის გასაუმჯობესებლად შეძენილ იქნა სატელევიზიო ხმის პროცესორი, რომელიც დამონტაჟდა ცენტრალურ საააპარატოში;
30) რადიოს ხმის გასაუმჯობესებლად შეძენილ იქნა რადიო FM პროცესორი რომელიც დამონტაჟდა რადიოს გამშვებ სტუდიაში;
31) MPG4 ზე გადასვლასთან დაკავშირებით შეძენილი იქნა 10 ცალი სატელიტური მიმღები;
32) ახალი ამბების სამსახურის ეფექტური მუშაობისათვის შეძენილ იქნა პირდაპირი ჩართვებისთვის სატელეფონო ხაზის გამოყენების აპარატურა (ლაივუ) და სტუდიაში მოხდა ტექნიკური გადაიარაღება;
33) სტუდიური გადაცემებისა და მიღებული მასალების ერთდროულად და შეუფერხებლად ჩასაწერად შეძენილ იქნა ჩამწერი ციფრული მაგნიტოფონი;
34) სტუდიისათვის შეძენილ იქნა სატელევიზიო ამწე;
35) შეძენილ იქნა საკამერო განათება, აუდიო აპარატურა, სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონები, ხელის რადიო მიკროფონები, უკაბელო საკამერო მიკროფონის კომპლექტი, რეპროდუქტორი, აუდიო სიგნალის მიმღები, ყურსასმენები, სტუდიისთვის და გარე გადაღებების განათების კომპლექტები, აუდიო და ვიდეო სიგნალის გარდამქნელები, ახალი თანამედროვე ტიტრის მუშა სადგური, WIFI გამავრცელებელი მოწყობილობები, სტუდიის კამერებისათვის შტატივები და პირდაპირი ჩართვების ეფექტური და ოპერატიული უზრუნველყოფისათვის GSM სატელეფონო აპარატურა;
36) მაუწყებლის ვებ-გვერდისა და რადიოსათვის პირდაპირი ჩართვების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა ციფრული კამერები და შტატივი მობილური ტელეფონით ვიდეო სიუჟეტების მოსამზადებლად;
37) ტელევიზიის კომპიუტერულ ქსელში პირდაპირი ეთერის სტრიმის უზრუნველსაყოფელად და მიმდინარე ეთერის მაღალი ხარისხით ჩასაწერად, შეძენილ იქნა SDI და HDMI ნაკადის გამშვები მოწყობილობა;

38) მაუწყებლის ტექნიკური ნაწილის გასამართად შეძენილ იქნა თანამედროვე ტიპის HD ენკოდერი;
39) შეძენილი იქნა და ტელევიზიაში დამონტაჟდა სამეთვალყურეო სისტემების ახალი კომპლექტი, ძველი კომპლექტი კი გაიმართა ტექნიკურად და დამონტაჟდა რადიოს შენობაში;
40) განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის (მ.აბაშიძის №41) სახურავის კაპიტალური რემონტისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება;
41) განხორციელდა რადიოს შენობის აზომვითი ნახაზისა და რადიო შენობის (მ.აბაშიძის №57) კონდიცირების სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება;
42) შეძენილ იქნა დასწრების აღრიცხვის სისტემა და შესაბამისი პლასტიკური ბარათები, რომლებიც დამონტაჟდა როგორც ტელევიზიის, ასევე რადიოს ადმინისტრაციულ შენობებში;
43) განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა. ასევე, განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა, მონიტორინგი.
44) შეძენილ იქნა როგორც მუშა სადგურები (სამონტაჟო კომპიუტერი), ასევე სამონტაჟო ლეპტოპები, რითაც გაუმჯობესდა სამონტაჟოების ხარისხი;
45) MPG4 სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაფორმდა ახალი ხელშეკრულება თანამგზავრულ მაუწყებლობაზე და თანამგზავრით პირდაპირ ჩართვებზე, შეიცვალა ტექნიკური პარამეტრები და შეიცვალა გადახდის ტარიფი;
46) შეძენილ იქნა და განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და ომბალაურის გადამცემი სადგურებისათვის ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები;
47) განხორციელდა გადაცემა „დილის ტალღა“-ს და გადაცემა „ჰეშთეგი“-ს სატელევიზიო სტუდიების განახლება (დეკორაციული სამუშაოები), ასევე განხორციელდა ე.წ. „თითების სტუდიის“ ინტერიერის შეცვლა და შესაბამისი განათების მოწყობა;

48) განხორციელდა მოძრავ სატელევიზიო სადგურზე და სტუდიებში პროფილაქტიკური სამუშაოები. დაზიანებული იყო ტელევიზიიდან რადიოში მიმავალი ძაბვის კაბელი, მოხდა დაზიანებული ადგილის მოძებნა ლაბორატორიის მიერ და აღდგენა. სტუდიის ცენტრალურ სააპარატოში ჩატარდა რეკონსტრუქცია (ტექნიკური გადაიარაღება) რის შედეგაც ახალ ოთახში, შეძენილ რეკში გადატანილ იქნა ხმაურის გამომწვევი აპარატურა. ასევე შევიძინეთ აუდიო და ვიდეო კაბელები თავისი კონექტორებით, რომელებიც გამოყენებული იქნა ცენტრალურ სააპარატოში კაბელებისა და კომუნიკაციის მოსაწესრიგებლად;
49) ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). ინტერნეტის საშულებით ხორციელდება გადამცემზე სარეზერვო რადიო სიგნალის მიწოდება, იმ შემთხვევისათვის, როცა სატელიტზე წარმოიქმნება სიგნალის გავრცელების პრობლემა. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ანტენა - ფიდერულ მოწყობილობაზე, პროფილაქტიკა ჩაუტარდა დენის უწყვეტ წყაროს UPS. ჩატარდა სარემონტო აღდგენითი სამუშაოები, გარემონტდა ძალოვანი ტრანსფორმატორის დამცველები და გადაძაბვის შემზღუდველი;
50) დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი სადგურები (გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში;
51) აჭარის მუნიციპალიტეტებში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). აღდგენილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები, რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურებს, გარემონტდა მიმღები და გადამცემი ანტენები;
52) საანგარიშო პერიოდში ოპერატულად და უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით შეძენილ იქნა მსუბუქი გამავლობის 2 ავტომობილი.

ბ) მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი მიზნები:

→ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის 2017 წლის 13 ნოემბრის №02-03/27 ბრძანების თანახმად ჩატარდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე 2017 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. აღნიშნული წესის მოთხოვნათა

მიხედვით 2017 წლის ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული ყველა აქტივი, გარდა უძრავი ქონებისა (შენობა-ნაგებობები, მიწა). კერძოდ, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, არაწარმოებული არამატერიალური, არაფინანსური და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობები (საბუღალტრო სინთეზური ანგარიშები: 2121, 2122, 2122/1, 2130, 2132, 2133, 2220, 2430 და საცნობარო მუხლები 04, 05, 08 და 10). ყოველ მათგანზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით გაიცა საინვენტარიზაციო უწყისი. ცალკ-ცალკე უწყისში შევიდა ნარჩენი ღირებულების მქონე ამორტიზებული ფასეულობები. კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა ბალანსზე რიცხული ქონების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გაწერის სისწორე, კერძოდ: მაუწყებლის დირექტორის 2014 წლის 3 იანვრის N01-03/03; 2015 წლის 30 ნოემბრის N02-03/29; 2016 წლის 09 მარტის N02-06/11 და 2017 წლის 08 დეკემბრის N02-03/32 ბრძანებებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული ქონება განპიროვნებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში, დადგენილი წესით შევსებულია საინვენტარიზაციო ბარათები (ელექტრონული ვერსია-ბუღალტრული პროგრამის შესაბამისად, ფორმა №ძს-6. დანართი №1). აქტივების გადაცემა, ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. ფასიანი ქაღალდები (საწვავის ტალონები) დაცულია სეიფში, ინვენტარიზაცია წარმოებდა ყოველთვიურად, მასზე შესაბამისი აქტის შედგენითა და რეგისტრაციით. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების (საწვავის ტალონები) ნაშთი სრულად ამოიწურა 2017 წლის ივნისში. ინვენტარიზაციის პერიოდში, საარქივო, სატელევიზიო განვითარების და ახალი ამბების სამსახურების მიერ ჩატარდა, ფონოთეკის ფონდის, ოთახი №18-ში და №9-ში არსებული ყველა ტიპის კასეტების აღწერა, კერძოდ: მათი გადათვლა და აღწერა კასეტების ტიპების მიხედვით. აღნიშნულზე შედგა №02-32/780, 26.12.17. აქტი რომელიც სინთეზური ანგარიში-2130-ის ინვენტარიზაციის მასალებთან ერთად, კომისიის მიერ მიღებულ იქნა არქივის სამსახურში ინვენტარიზაციის ჩატარების საფუძვლად.

ინვენტარიზაციის ჩატარების მოქმედი წესის თანახმად, ადგილზე, კომისიის მიერ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, ჩატარებული ინვენტარიზციის შედეგად შედგა 79 (შედარების) უწყისი (ფორმა№ინვ-1) და დადგინდა შემდეგი:

a. ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის სხვაობა, (მეტობა ან ნაკლებობა) არ დაფიქსირებულა და შესაბამისად აისახა შედეგების აქტით-ფორმა №ინვ-2.
b. ინვენტარიზაციის შედეგად სულ აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსზე 2017 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით რიცხული 2525 ერთეული 4 201 139,92 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების არაფინანსური აქტივები, მათ შორის:

ა) „ძირითადი ფონდები“ (ანგარიში-2120), 3 005 998,84 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულება, აქედან:

- „სატრანსპორტო საშუალებები“ (ანგარიში-2121), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 216 749,28 ლარი;

- “სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ანგარიში-2122), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 2 789 249,56 ლარი;

ბ) “საბიბლიოთეკო ფონდი“ (ანგარიში-2122/1), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 480,60 ლარი;

გ) „სხვა ძირითადი აქტივები“ (ანგარიში-2130), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 367 655,73 ლარი;

დ) „სხვა ძირითადი საშუალებები“ არაწარმოებული ძირითადი აქტივები (ანგარიში-2132), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 44 937,89 ლარი;

ე) „ფილმები და პროგრამული გადაცემები“ (ანგარიში-2133), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 768 482,90 ლარი;

ვ) „სხვა ბუნებრივი აქტივები“ (ანგარიში-2430), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 13583.96 ლარი;

ზ) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (ანგარიში-2200) ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 16 376,41 ლარი.

c. ასევე ინვენტარიზაციის შედეგად აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსის საცნობარო მუხლში 2017 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით რიცხული:

ა) ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (10 ანგარიში), ღირებულებით 217 988,44 ლარი;

ბ) ,,პირობითი მოთხოვნები“ (05 ანგარიში) – 5 385,52 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 19 აგვისტოს კურორტ „ბახმაროში“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სადღესასწაულო დოღის გადაღებისას დაზიანებული ვიდეოკამერის შეკეთების გამო (საფუძველი: 2017 წლის

18 აპრილს მმართველ საბჭოზე მენეჯმენტმის გადაწყვეტილება: „ვიდრე გამოძიების შედეგები გახდება ცნობილი, შეკეთდეს ვიდეოკამერა რეგრესის წესით“).

გ) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში (04 ანგარიში), ღირებულებით 32 642,03 ლარი.

d. მწყობრიდან გამოსულია და ექვემდებარება შემდგომ ჩამოწერას:

ა) 117 381,64 ლარი ნარჩენი ღირებულების მქონე 23 ერთეული ძირითადი საშუალება, მათ შორის:

- „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი", 108 726,40 ლარის ნარჩენი ღირებულების 20 ერთეული;

- „სატრანსპორტო საშუალებები“, 3 ერთეული 8 655,24 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების. (ამორტიზებული სატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია მაუწყებლის კუთვნილ შენობაში, მისამართზე: სულხან-საბა ორბელიანის №17. ამორტიზებულ სატრანსპორტო საშუალებებიდან ა/მანქანა „მიცუბიში პაჯერო იო“, საინვენტარიზაციო №2330 (გამოშვების წელი 2002, საიდენტიფიკაციო კოდი H77W5209403), გაიყიდა 2017 წლის 20 ოქტომბერს გამართულ აუქციონზე (განაცხადის №58154FPS47174617, აუქციონის №58154) 3750,00 ლარად. მყიდველი: ავთანდილ დუმბაძე. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, მოიხსნა აღრიცხვიდან საინვენტარიზაციო პერიოდში, 2017 წლის 07 ნოემბერს; სატრანსპორტო საშუალება, „ოპელ ასტრა“, სარეგისტრაციო ნომრით TUT 298, საინვენტარიზაციო №2176, დაზიანდა 2014 წლის 17 სექტემბერს მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევის დროს. აღნიშნულზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №075170914001, რომელიც შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო, რის შესახებ საპატრულო პოლიციის მიერ გვეცნობა 2016 წლის 11 ნოემბერს. ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდისათვის, კერძოდ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარდა ზარალის ანაზღაურების პროცედურები, განისაზღვრა ზარალის ოდენობა 2 036,71 ლარით, რომლის ანაზღაურებაც სოლიდურად დაეკისრათ ზარალის მიყენებაში დამნაშავე პირებს: კორნელი პატარაიასა და გოჩა კახიძეს, გადახდის დამტკიცებული გრაფიკით; რაც შეეხება ავტომანქანა ოპელ ასტრა, უნივერსალი, გამოშვების წელი 1995, სახელმწიფო № TUT 238

(საინვენტარიზაციო №2174), გამოუსადეგარია, შპს "ჯეოავტოს" შეფასების აქტი#02-22/01/463, 13.12.2017წ.

- ჩამოწერას დაექვემდებარება ასევე ფილმები, რომელთა ჩვენების ვადა 2017 წლის ბოლოს ამოიწურა მათზე, დადგენილი ცვეთის დარიცხვის შემდეგ.

ბ) 73 ერთეული 7 920,96 ლარის ღირებულების, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და 16 ერთეული მცირეფასიანი საგნები 1 464,27 ლარის ღირებულებით.

e. უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი შენობები, ნაგებობები_ გადამცემი სადგურები და უძრავ ქონებაზე მიმაგრებული მიწა) რიგგარეშე ინვენტარიზაცია ჩატარდა 2015 წლის ივლის-ოქტომბერის თვეში, საქართველოში მაუწყებლობების საყოველთაო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ქონებაზე 2015 წლიდან დღემდე არავითარი ცვლილებები - (შეძენა, გასხვისება, კაპიტალური რემონტი), რომლებიც შეცვლიდნენ მათ ღირებულებას, არ მომხდარა.

2017 წელს დადგენილი წესით აფასდა და აყვანილ იქნა ანგარიშზე, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2015 წლის 30 ნოემბრის №5/69519 წერილით, არსებობის ვადით საკუთრებაში (სარგებლობის უფლებით) გადმოცემული მახინჯაურის დასახლებაში მდებარე 963,00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, (ამჟამად არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების) მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია ომბალაურის გადამცემი სადგური. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2017 წლის 06 აპრილის №01-10/1372 წერილით უსასყიდლოდ, სამინისტროს მოთხოვნამდე ვადით, სარგებლობაში გადმოგვცა ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის №41-ში მდებარე 1322,2 კვ.მ და 2017 წლის 06 აპრილის №01-10/1373 წერილით უსასყიდლოდ, სამინისტროს მოთხოვნამდე ვადით, სარგებლობაში გადმოგვცა ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის №57-ში, პირველ სართულზე მდებარე 408 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებით. ყოველ მათგანზე გავლილი იქნა აფასებასთან დაკავშირებული პროცესები. შესაბამისი დოკუმენტაცია დაცულია ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში.

→ შიდა კონტროლისა და სრულყოფილი აღრიცხვისათვის მაუწყებელმა შეიძინა ონლაინ პლატფორმაზე მომუშავე „ყოველდღიური გადაღებისა და ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვის“ პროგრამული უზრუნველყოფა.

აღნიშნული ელექტრონული პროგრამა ძირითადად გათვლილია ახალი ამბების სამსახურისა და მასთან დაკავშირებული ავტომობილების მოძრაობის აღრიცხვასთან (ასევე მიმდინარეობს მუშაობა საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის გადაცემებისათვის ყოველდღიური მუშაობის შესაბამისი აღრიცხვის უზრუნველსაყოფად).

→ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" 35[12] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სავარაუდო საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში (მშპ შესაბამისად) მომზადდა 2018 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცების შესახებ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი (ბიუჯეტში მუხლობრივად გაიწერა ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ მაუწყებლობის ხარჯები), მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ 2017 წლის 22 დეკემბრის N01-01/21 (ოქმი N18) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის N403 (ოქმი N267) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2018 წლის ბიუჯეტი.

## მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორები

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილება და მიზნობრივი ხარჯვა, სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელა მაუწყებლის საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

# 12. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს შიდა და გარე აუდიტის დასკვნებზე ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტში. (იხ. დანართი N1)

აჭარის მაუწყებლის უპირველესი სტრატეგიული მიზანი იქნება თითოეულ პლატფორმას მუდმივად ჰქონდეს საინტერესო, აქტუალური და სასარგებლო ეთერი. რაც გულისხმობს, რომ მიმდინარე და მომდევნო წლებში, განსაკუთრებული ყურადღება და რესურსი დაიხარჯება როგორც პროგრამული პრიორიტეტების, ასევე აუდიტორიის ინტერესების შესაბამისი გადაცემების შექმნა/შერჩევაზე, საეთერო ბადეში მათ ეფექტურ განაწილებასა და თითოეული პლატფორმისათვის შექმნილი/შერჩეული გადაცემების უწყვეტ განვითარებაზე. (მაყურებლის / მსმენელის განწყობისა და სურვილის გამოსავლენად აუცილებელია სოციოლოგიური კლევა და სხვა მეთოდების დანერგვა მათი ჩართულობისთვის)
ასევე მაუწყებლის სტრატეგიული მიზანი იქნება ტექნიკურად მაღალი ხარისხის მაუწყებლობა და წარმოების სიმძლავრეების განვითარება, რომ მაუწყებლობამ შეძლოს სრულყოფილი, გამართული, მაღალი ხარისხით ფუნქციონირება თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების შესაბამისად და ხარისხის განვითარების პროცესი იყოს თითოეული პლატფორმის ტექნიკური განვითარების საჭიროებებისა და შესაძლებლობების თანმდევი.
გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვან პრიორიტეტად შეირჩა გადაცემების მაქსიმალური პოპულარიზაციის ამოცანაც, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლებში მაუწყებლობა განსაკუთრებით იზრუნებს როგორც სატელევიზო, ასევე რადიო და ინტერნეტ პლატფორმებისათვის შექმნილი/შერჩეული მედია პროდუქტის ცნობადობის ამაღლებაზე, მათი პრომოუშენის მეთოდებისა და არხების მუდმვი განვითარებაზე რომ ერთის მხრივ გააჩინოს ინტერესი ყველა მიზნობრივ სეგმენტში და მეორეს მხრივ, შეაყვაროს მათ აჭარის მაუწყებლობის მიერ შექმნილი/შერჩეული მედია პროდუქტი.